პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 135 (10832)

კვირა, 9 ივნისი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

ნათესების სანიმუშოდ დამუშავება უხვი მოსავლის მიღების პირობაა

ზაფხული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპია. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, მტს-ების ტექნიკა უშუალოდ მინდვრებზე წყვეტენ წარმატების ბედს.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობების მინდვრებზე ათეულ ათასობით ჰექტარი ფართობი უკავია სიმინდის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და სხვა კულტურების ნათესებს. დიდ ფართობებზე გამოჩნდნენ სიმინდისა და მზესუმზირას მწვანე კვადრატები. თითქმის ყველგან საჭიროა ნათესების დამუშავების დაჩქარება. ამ სამუშაოს შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნათესის ზრდის პირველ ფაზაში, როცა მცენარეს აღმოცენებიდან პირველად ეძლევა საშუალება მოღონიერდეს, მძლავრად გაიდგას ფესვები მიწაში და ინტენსიურად განაგრძოს შემდგომი ზრდა-განვითარება, რაც უხვი მოსავლის მიღების საიმედო პირობაა.

ამჟამად თვითეული დღე, საათიც კი გადამწყვეტია ნათესების დამუშავებაში. ამიტომ აუცილებელია ახლა სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ ამ გადაუდებელი საქმის დროულად შესასრულებლად. რესპუბლიკის მექანიზატორების სახელისა და ღირსების საქმეა მაღალხარისხოვნად ჩაატარონ ნათესების კულტივაცია.

ნათესების აგროტექნიკურ ვადებში მაღალხარისხოვნად დამუშავება რესპუბლიკის კოლმეურნეებისა და მექანიზატორებისაგან მოითხოვს მეტ ორგანიზებულობას, ტექნიკისა და რეზერვების სრულყოფილად გამოყენებას. მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები მოწმობენ, რომ ნათესების დამუშავების საქმე რესპუბლიკაში ნელი ტემპით მიმდინარეობს. 1 ივნისისათვის სიმინდის პირველი თოხნა ჩატარდა 38.998 ჰექტარზე, რაც გეგმის 17,1 პროცენტს შეადგენს. კარტოფილის პირველი თოხნის დავალება შესრულებული იყო 23,5 პროცენტით, შაქრის ჭარხლის ნათესის გაფხვიერებისა — 73,1, ხოლო გამოხშირვისა — 49,4 პროცენტით.

არ შეიძლება, შევიწყნაროთ ისეთი მდგომარეობა, როცა ზოგიერთ რაიონში სიმინდმა ორი-სამი ფოთოლი გაიკეთა და მაინც ნაადრევად მიაჩნიათ კულტივაციისა და თოხნის დაწყება. რით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ 1 ივნისისათვის ეს სამუშაო დაწყებულიც არ ჰქონდათ აბაშის, ჩხოროწყუს, წყალტუბოს, ვანის, თერჯოლის და მთელ რიგ სხვა რაიონებში, ან ცხაკაიას რაიონს სიმინდი გათოხნილი რომ ჰქონდა მხოლოდ 49 ჰექტარი, სამტრედიის რაიონს — 51, ლანჩხუთის — 145 ჰექტარი, ხოლო ზობის რაიონს — 5.000 ჰექტარიდან 224 ჰექტარი?

ეს მდგომარეობა დამაფიქრებელია. მაისის ბოლო რიცხვებში ნალექები საკმაო რაოდენობით მოვიდა. ახლა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა ხელიდან არ გაუშვან ხელსაყრელი ამინდის არცერთი საათიც კი, ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ ნათესების სანიმუშოდ დამუშავება.

ქების ღირსი არიან ის კოლმეურნეობები, მტს-ები, რომლებიც სწრაფად უღებენ ალღოს ამა თუ იმ სამუშაოს ოდნავი დაგვიანების მავნე შედეგებს და აფასებენ დროის ფაქტორს. ამის მაგალითი რესპუბლიკაში ბევრია. მაგრამ აქ დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს. გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობამ წელს 76 ჰექტარის ნაცვლად დათესა 100 ჰექტარი სიმინდი. მისი კულტივაცია-გათოხნა არცერთი დღით არ დაგვიანეს. ორჯერ ჩაატარეს კულტივაცია და ამდენჯერვე გათოხნეს. სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობას სიმინდი 185 ჰექტარზე უთესია, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 125 ჰექტარი. მექანიზატორმა რ. სონღულაშვილმა დროულად და მაღალხარისხოვნად ორჯერ ჩაატარა კულტივაცია, კოლმეურნეებმა მეორე თოხნაც დამთავრეს.

კასპის მტს-ის ზონაში დაწინაურდა კავთისხევის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 100 ჰექტარი მთლიანად კვადრატულ-ბუდობრივად დათესა. კულტივაცია და თოხნა წარმატებით მიმდინარეობს. მაგრამ ასე როდი მუშაობენ ამ მტს-ის ზონის სხვა კოლმეურნეობები. სულ ზონაში 1.587 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან 1 ივნისისათვის კულტივაცია ჩატარებული იყო 330 ჰექტარზე, ხოლო 540 ჰექტარი შაქრის ჭარხლიდან დამუშავებულია 25 ჰექტარი. ეს მაშინ, როცა მტს-ის 25 კულტივატორს დღეში შეუძლია დაამუშაოს სულ ცოტა 200 ჰექტარი.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ვალია მტკიცე კონტროლი დააწესონ ნათესების დამუშავებისადმი, კონკრეტული დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს ამ სამუშაოს ორგანიზებულად მოწყობაში. საჭიროა უფრო მოქნილი გახდეს პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფების საქმიანობა, გადავიტანოთ პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა უშუალოდ მინდვრად, უფრო ქმედითი გავხადოთ იგი.

არ დავიიწყოთ ის, რომ ნათესების დამუშავებაში მთავარია მისი ხარისხი. არ უნდა დაუშვათ ისეთი მდგომარეობა, როცა კულტივატორი ჭრის ბუდნებში ამოსულ მცენარეს ან როცა სარველებს არა სპობს. რიგთა შორის ნათესის ასეთი დამუშავება შეუწყნარებელია და ჩვენი მექანიზატორები მოვალენი არიან წესრიგზე მოიყვანონ ტექნიკა. ამასთან ერთად ნათესების დამუშავებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხელით შრომის სწორად მოწყობას. აუცილებელია მტკიცედ დავიცვათ ნიადაგის გაფხვიერებისა და ბუდნებში მცენარეთა რაოდენობის დატოვების აგროწესები. დროულად და დადგენილი დოზებით შევიტანოთ ნათესებში მინერალური სასუქები.

მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ნათესების დამუშავების ყველა წესის დაცვა ნიშნავს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობა გავადიდოთ რამდენიმე ცენტნერით. საბოლოო ანგარიშით კი დამატებით მივიღოთ ასობით ცენტნერი სიმინდი, მზესუმზირა, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი და სხვა კულტურების მოსავალი.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 1957 წელს გადააქცევენ გარდატეხის წლად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის და ამ საფუძველზე უზრუნველყოფენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ აღმავლობას, სასახელოდ შეასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს იქნება დიდი წვლილი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და სრული სიმძლავრით ამუშავებაში მოპოვებული წარმატებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ჯგუფი სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ლენინის ორდენოსანი „დნეპრმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მშენებელი მუშაკებისა, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი. სულ დაჯილდოებულია 602 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 28 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 74 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 139, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 174, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 187 კაცი.

თვალსაჩინო საწარმოო მიღწევებისათვის ექსკავატორის მემანქანეს ა. კ. მასლაკს, მებეტონეს ს. ნ. ნიკულინსა და ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირს პ. ი. სინიავსკის მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. (საკდესი).

გამოვიდა სტატისტიკური წელიწდეული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 1956 წელს“

სტატისტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა სტატისტიკური წელიწდეული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 1956 წელს“, რომელიც მოამზადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ.

სტატისტიკურ წელიწდეულში მოყვანილია უმნიშვნელოვანესი მონაცემები, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის განვითარებას 1956 წელს 1928 წელთან, ომამდელ 1940 წელთან და რევოლუციამდელ 1913 წელთან შედარებით. (საკდესი).

სადილი ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან უ. კ. კეკონენთან ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

ჰელსინკი, 7 ივნისი. (საკდესი). დღეს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა თავის სასახლეში სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

ნ. ა. ბულგანინთან და ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად სადილზე იყვნენ მათი თანმხლები პირები: ა. ა. გრომიკო, ნ. ა. მიხაილოვი, ი. ა. სეროვი, პ. ნ. კუმიკინი, მ. ს. მალინინი, ლ. თ. ილიჩოვი, თ. თ. მოლოჩკოვი, ს. ა. აფანასიევი.

სადილზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ფინეთში ა. გ. დროზდოვი, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე ფინეთში გენერალ-მაიორი ი. ვ. ვინოგრადოვი, საბჭოთა საელჩოს მრჩეველები ი. ფ. ფილიპოვი, მ. გ. კოტოვი, ვ. ვ. ჟენიხოვი.

ფინეთის მხრივ სადილზე იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე კ. ა. ფაგერჰოლმი, პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ვიროლაინენი და მთავრობის სხვა წევრები, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ა. ვუორი, პარლამენტის ვიცე-თავმჯდომარეები, პარლამენტის ფრაქციების თავმჯდომარეები, ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ თავმჯდომარე ს. კ. კილპი, ჰელსინკის ცენტრალური გაზეთების მთავარი რედაქტორები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები და სხვ.

სადილის დროს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

უ. კ. კეკონენის სიტყვა

ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო!

ბატონო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრო!

მე დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გულითადად მოგესალმოთ თქვენ ფინეთში ჩამოსვლის გამო. გულწრფელი სიხარულით მივიღეთ თავის დროზე ცნობა, რომ თქვენ დათანხმდით ჩამოსულიყავით ჩვენში ვიზიტით და ასეთსავე გულწრფელ სიხარულს მოგვანიჭებს ახლა, თუ თქვენ ზაფხულის ამ რამდენიმე დღის განმავლობაში კარგად იგრძნობთ თავს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი ეს ვიზიტი ახალი მტკიცე რგოლი იქნება, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

თქვენ ინებეთ თქვენი პირველი ვიზიტი ჰელსინკში დაგეწყოთ დიდი ფინელის — პრეზიდენტ პაასიკივის ხსოვნის პატივისცემით. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს ამ კეთილშობილურ მოქმედებას. ეს მიგვაჩნია იმ აღიარებად, რომელიც თქვენ მიეცით პრეზიდენტ პაასიკივის მოღვაწეობას, მის შრომას ღრმა მოხუცებულობის წლებში, როცა მას, მისი საკუთარი სიტყვით რომ ვთქვათ, ბნელი ღრმა ხეობიდან გაშლილი თავისუფალი სივრცისაკენ მიჰყავდა თავისი ხალხი.

პრეზიდენტ პაასიკივის საფლავზე თქვენი ეს გამგზავრება ბუნებრივად მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას მისი სოციალისტის ისტორიულ, დაუვიწყარ მიღწევებს. პაასიკივიმ საფუძველი შეუქმნა ფინეთის ახალ საგარეო პოლიტიკას, რომლის ქვაკუთხედია ურთიერთგაგება, თანამშრომლობა, მტკიცე მეგობრობა ორ მეზობელ ქვეყანას — ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. არ არის საბაბი დავფაროთ, რომ 1944 წელს ფინეთში ამ გზას გაუბედავად და შიშით დაადგნენ. მაგრამ როცა დაინახეთ, რომ საბჭოთა კავშირი საბოლოოდ და თანმიმდევრულად სცემს პატივს ფინეთის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას და სურს ამ საფუძველზე ააგოს მეგობრული ურთიერთობა ფინეთთან, ეჭვი და გაუგებრობა გაქრა. დროთა ვითარებაში განმტკიცდა ნდობა, ურთიერთპატივისცემა და გაგება. გაზვიადება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ახლანდელ შფოთიან მსოფლიოში ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეზობლური ურთიერთობა, მიუხედავად ჩვენი სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემებისა, სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს. ასეთი დასკვნა და ამის საჯაროდ განცხადება, როგორც ჩანს, ყველას როდი ესიამოვნება, მაგრამ ეს ფაქტია, რომლის წაყრუების საბაბი ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ ვიცით, რომ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კარგი კეთილმეზობლური ურთიერთობაა, რომელიც კეთილსასურველად ვითარდება და სარგებლობა მოაქვს არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნისათვის, არამედ აგრეთვე თანხმობის საერთაშორისო პოლიტიკისათვის, კერძოდ ჩრდილოეთ ევროპაში.

მე აღვნიშნე, რომ ისინი, ვისაც სურს დაამციროს ფინეთის მიერ შეთვისებული საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობა, ამბობენ, ფინეთის საგარეო პოლიტიკა აუცილებლობით არის ნაკარნახევი. მაგრამ განა მშვიდობის პოლიტიკის მნიშვნელობას ამცირებს ის ფაქტი, რომ იგი გამოიწვია ეროვნულმა აუცილებლობამ და რომ ამ პოლიტიკის საფუძველს შეადგენს ერის სწორად გაგებული ინტერესები? განა მშვიდობის პოლიტიკა ახლანდელ მსოფლიოში ეროვნული აუცილებლობა არ არის ყველა ხალხისათვის? დაე მოწყალე განგება დაეხმაროს მსოფლიოს დროზე შეიგნოს ეს ფაქტი. ფინეთისათვის ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკის წარმოშობა უდავოდ ეროვნული აუცილებლობა იყო. მაგრამ სწორედ ამით აიხსნება მისი მუდმივი შენარჩუნება, მისი ურყევი სიმტკიცე. ამ პოლიტიკის საღარაჯოზე დგანან როგორც ხალხის ფართო ფენები, ისე ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეები.

როცა საქმე ეხება ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ხელსაყრელ განვითარებას, არ შეიძლება არ დავიმოწმოთ ამ ურთიერთობის ქარტია, 1948 წლის მეგობრობის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის პირველი დოკუმენტია, რომელიც აღნიშნავს ფინეთის ნეიტრალობას. ჩვენი ნეიტრალური პოლიტიკის გამართლებად ის მიგვაჩნია, რომ ვერიდებით ყველაფერს, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს წინააღმდეგობას საერთაშორისო ცხოვრებაში, და ვმუშაობთ ყოველივე იმის სასარგებლოდ, რაც ხელს უწყობს ხალხთა შორის თანხმობას, მათს დაახლოებასა და წინააღმდეგობათა აღმოფხვრას. რასაკვირველია, ჩვენ ვცდილობთ გავაკეთოთ ეს, უწინარეს ყოვლისა, ევროპის იმ ნაწილში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და სადაც, როგორც გულწრფელად ვიმედოვნებთ, სულ უფრო გაუმჯობესდება ურთიერთგაგება, სულ უფრო დიდი თანხმობა ჩამოვარდება.

ჩვენ ვიცით, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ცხოვრებაში ურთიერთნდობას. ჩვენ გვგონია, რომ შევძელით ნდობის მტკიცე საფუძველზე აგვეგო ჩვენი ურთიერთობა უახლოეს მეზობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობაში პატიოსნების დაცვა აგრეთვე ეროვნული აუცილებლობით აიხსნება, რადგან ჩვენდამი ნდობის გამოცხადება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია ჩვენთვის.

ჩვენ გვსურს ვუჩვენოთ ხალხებს, მახლობელ და შორეულ ხალხებს, რომ ჩვენი სიტყვა მართალია, რომ ჩვენ კეთილშობილურად ვიქცევით, არ ვმალავთ ჩვენს მიზნებს, არა გვაქვს ფარული ზრახვები. ჩვენ [illegible] ისეთ საგარეო პოლიტიკას, [illegible] შეესაბამება [illegible] ხასიათს, [illegible] გვაქვს შესაძლებლობა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მისწრაფებებს გაგებით ხვდებიან. უფრო მეტად გვახარებს ის, რომ მათ გაგებით ხვდებიან ჩვენი დიდი მეზობლის — საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები და ხალხები.

ბ-ნო პრემიერ-მინისტრო,

ბ-ნო პრეზიდიუმის წევრო!

პატივი მაქვს ფინეთის რესპუბლიკისა და ყველა ფინელის სახელით მოგესალმოთ თქვენ და თქვენს თანმხლებ მაღალი თანამდებობის პირებს თქვენი ჩამოსვლის გამო და შევსვა თქვენი და თქვენი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კეთილდღეობის სადღეგრძელო!

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, ბ-ნო პრეზიდენტო!

ჩემი, ამხ. ხრუშჩოვისა და ყველა ჩვენი თანამგზავრის სახელით გულითად მადლობას მოგახსენებთ მისალმებისათვის და ყოველივე იმ კარგისათვის, რაც აქ ჩვენს მიმართ თქვით.

დიდი კმაყოფილებით მივიღეთ თქვენი თავაზიანი მოწვევა ჩამოვსულიყავით ფინეთის რესპუბლიკაში და მოხარული ვართ, რომ ამ ვიზიტმა შესაძლებლობა მოგვცა გავცნობოდით თქვენს შესანიშნავ ქვეყანას, თქვენს ხალხს და ერთხელ კიდევ ვიმედოვნებ, რომ უკანასკნელი არ იქნება შეხვედრა და საუბარი პირადად თქვენთან.

მოხარული ვართ აღვნიშნოთ, ბ-ნო პრეზიდენტო, ის გარემოება, რომ ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს იმ შეხვედრებითა და საუბრებით, რომელთა დროს გადაიჭრა ჩვენს წინაშე წამოჭრილი პრობლემები. ვიგონებ რა ახლა ამას, მე როდი მინდა შევეხო ჩვენი შეხვედრებისა და საუბრების ფორმალურ მხარეს, რომელთა ანგარიშები სადღაც არქივებში ინახება. ეს ანგარიშები, უეჭველია, დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტებია, ისინი ასახავენ ჩვენს იმ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, რომლებიც ესოდენ ნაყოფიერი აღმოჩნდნენ. აქ მსურს განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ჩვენი საუბრებისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ის განსაკუთრებული ატმოსფერო, რომელიც წარმოიშვა ურთიერთგაგებისა და ნდობის შედეგად. ჩვენს მოლაპარაკებაში თვითეული მხარე იცავდა თავის პრინციპულ პოზიციებს, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვპოულობდით საერთო კრიტერიუმს, რომელიც შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნების ინტერესებს.

ჩვენი ახლანდელი კარგი ურთიერთობა თავისთავად როდი დამყარდა. ამ ურთიერთობას ვაშენებდით თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ. ახლა, როცა აგებულია საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის მტკიცე შენობა, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, ბ-ნო პრეზიდენტო, თქვენი პირადი დიდი წვლილი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ჩვენ ყოველთვის უდიდესი პატივისცემის გრძნობით ვიგონებთ განსვენებულ ბ-ნ ი. კ. პაასიკივის, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაში.

გავიდა ორი დღე, რაც ჩვენ თქვენს ქვეყანაში ვართ. ვადა ძალიან მცირეა, მაგრამ ჩვენ უკვე საკმაოდ დავრწმუნდით, რომ ჩვენმა ერთობლივმა ღონისძიებებმა, ბ-ნო პრეზიდენტო, კარგი შედეგები მოიტანა.

მეგობრობა და თანამშრომლობა ამჟამად სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ურთიერთობის ძირითადი ფაქტორია. ეს ორი მეზობელი სახელმწიფოს საღი და რეალისტური პოლიტიკის პირდაპირი შედეგია. ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა იმან, რომ ჩვენ არ შევიზღუდეთ უბრალო დეკლარაციებით იმის შესახებ, რომ საჭიროა გვქონდეს კარგი ურთიერთობა. ჩვენს ურთიერთობას რეალური საფუძველს ვუქმნიდით, ვავითარებდით რა ვაჭრობას, ეკონომიურ თანამშრომლობას, კულტურულ ურთიერთობას.

ვავითარებდით რა ჩვენს ურთიერთობას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე, ჩვენ ამასთან ვითვალისწინებდით როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით ჩრდილოეთ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

ბ-ნო პრეზიდენტო! ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის თხოვნით გადმოგცეთ მისი პირადი წერილი. უდიდესი მადლობისა და კმაყოფილების გრძნობით იგონებს იგი თავის ყოფნას თქვენს ქვეყანაში გასული წლის აგვისტოში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და კ. ე. ვოროშილოვი მოხარული იქნებიან მიგიღონ თქვენ მოსკოვში როგორც სტუმარი თქვენთვის მოსახერხებელ დროს თქვენს თანმხლებ პირებთან ერთად.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ახლანდელი შეხვედრები და საუბრები, ჩვენი გაცნობა თქვენს ქვეყანასთან და თქვენს შრომისმოყვარე ხალხთან ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და მათს კეთილნაყოფიერ თანამშრომლობას, ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

მე ვსვამ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების სადღეგრძელოს!

მე ვსვამ მისი აღმატებულების ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ კეკონენის სადღეგრძელოს!

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ფინეთის პრემიერ-მინისტრთან ვ. ი. სუქსელაინენთან

ჰელსინკი. 7 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). პარასკევს 7 ივნისს გამართულ საუბარში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, არმიის გენერალი მ. ს. მალინინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგის მოადგილე ს. ა. აფანასიევი.

ფინეთის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ: პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი, მინისტრები ნ. მეინანდერი, ი. ვიროლაინენი და ე. კაიტილა, სტატს-მდივანი ლ. ტუომინენი, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ვუორი, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები რ. ენკელი, ო. კაილა და ი. ვანამო. აგრეთვე ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი გ. კორხონენი.

საუბარი, რომელიც დაიწყო 10 საათსა და 30 წუთზე და დამთავრდა 11 საათსა და 45 წუთზე, მეგობრობისა და გულწრფელობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა. საუბრის განმავლობაში შესაძლებელი გახდა აზრთა სასარგებლო გაზიარება საერთო საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა ორივე ქვეყნისათვის.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა ამჟამად განსაკუთრებით კარგია და რომ არის ყველა წანამძღვარი იმისათვის, რომ ეს ურთიერთობა მომავალშიც ასე კარგი დარჩეს, რასაც ორივე სახელმწიფო თავის მხრივ გულწრფელად ესწრაფვის.

ზოგიერთი საკითხის უფრო დაწვრილებით შეფასებისათვის და საქმიანობის ახალი ფორმების შესასწავლად მიზანშეწონილად მიიჩნიეს დაინიშნოს სამი კომისია.

კომისიაში, რომელიც განიხილავს ორივე ქვეყნის საერთო ურთიერთობას, შევლენ — ფინეთის მხრივ: საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ვიროლაინენი, სტატს-მდივანი ლ. ტუომინენი, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ვუორი და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე რ. ენკელი, საბჭოთა კავშირის მხრივ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგის მოადგილე ს. ა. აფანასიევი.

გადაწყდა კულტურული საკითხები განსახილველად გადაეცეს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ი. ვიროლაინენსა და სსრ კავშირის კულტურის მინისტრს ნ. ა. მიხაილოვს შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით.

ვაჭრობის საკითხებს შეისწავლიან ფინეთის მხრივ სტატს-მდივანი ტუომინენი და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ო. კაილა და საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი და სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ფინეთში ა. გ. დროზდოვი.

საუბრის დროს განხილულ იქნა აგრეთვე საბჭოთა კავშირის მხრივ საერთაშორისო მდგომარეობა და აღინიშნა, რომ ორივე სახელმწიფოს თანაბრად სურს ხელი შეუწყოს მსოფლიოში მშვიდობისა და თანამშრომლობის მშვიდობიანი ფორმების შენარჩუნებას და რომ ფინეთი ისწრაფვის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაში გამოხატული პრინციპის შესაბამისად განზე დარჩეს დიდი სახელმწიფოების ინტერესების წინააღმდეგობებისაგან, აგრეთვე თავისი ნეიტრალური და სამშვიდობო საგარეო პოლიტიკით ხელი შეუწყოს მშვიდობიანი პირობების შემდგომ განვითარებას, კერძოდ, ჩრდილოეთ ევროპაში.

125.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის

ჩაის კრეფაში დაწინაურებულნი

ბათუმის რაიონი. სოფელ ურეკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა შ. ვარშანიძემ ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთში გეგმით გათვალისწინებული 2.700 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფოს 4.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ნაკისრ ვალდებულებას შ. ვარშანიძე წარმატებით ასრულებს. მაისში 900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. სურათზე: სოფელ ურეკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავი შ. ვარშანიძე.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა. (საქფესის ფოტოქრონიკა).

★

გეგეჭკორის რაიონი

ლამარა ჯანჯღავა სოფელ გაჭედილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ფოთლის კრეფის ყოველდღიურ გეგმას ოთხმაგად ასრულებს. მან პირობა დადო სეზონში 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 5 ათასი კილოგრამი ნედლეული. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 1.300 კილოგრამი ჩაი.

ტონია ჯამბურია ამავე კოლმეურნეობაში მუშაობს. იგი იბრძვის 0,4 ჰექტარზე 4 ათასი კილოგრამი ჩაის მიღებისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.300 კილოგრამისა. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 1.200 კილოგრამი ფოთოლი.

მარო კვანტალიანი სოფელ ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებას სამმაგად ასრულებს. მან პირობა დადო 0,3 ჰექტარზე მოკრიფოს 3.500 კილოგრამი ნედლეული. უკვე მოკრეფილი აქვს 1.100 კილოგრამი ჩაი.

* * *

ხობის რაიონი

ქსენია კევალიშვილმა სოფელ საგჯეჯოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 2.100 კილოგრამი ჩაი. მისი ვალდებულებაა 0,6 ჰექტარზე მოკრიფოს 7.500 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა. იგი ვალდებულების ანგარიშში ყოველდღიურად კრეფს 105-110 კილოგრამ ჩაის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა.

ვენერა ოკუჯავა წარმატებით მუშაობს ამავე კოლმეურნეობაში. ყოველდღიურად კრეფს 90-95 კილოგრამ ნედლეულს ნაცვლად 25 კილოგრამისა. იგი იბრძვის 0,5 ჰექტარზე 6.500 კილოგრამი ჩაის მიღებისათვის. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 1.300 კილოგრამი ფოთოლი.

* * *

ლანჩხუთის რაიონი

ნინო ღლონტმა ქვემო აკეთის კოლმეურნეობაში მოკრიფა 72 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. იგი უვლის 0,3 ჰექტარ ჩაის პლანტაციას და ნაკისრი აქვს ვალდებულება მიიღოს 4.000 კილოგრამი. უკვე მოკრიფა 1.200 კილოგრამზე მეტი.

ციხანა ქანთარია ამავე კოლმეურნეობაში უვლის 0,7 ჰექტარ პლანტაციას. მან მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 1.100 კილოგრამი. მიხი ვალდებულებაა მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთიდან ხეზონში მიიღოს 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ხარისხი დაივიწყეს

„კომუნისტის“ რეიდი.

ზოგიერთი კოლმეურნეობა თავიდანვე სერიოზულად მოეკიდა ჩაის ფოთლის კრეფას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. თვალავაძე) წევრების ნაყოფიერი მუშაობა. აქ ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმას მალე შეასრულებენ.

მაგრამ ყველგან როდია ასეთი მდგომარეობა. ზოგან უკანასკნელ დღეებში შეანელეს კრეფის ტემპი. სოფელ დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე ა. კოხრეიძე) მაისის მეექვსე ხუთდღიურში 750 კილოგრამით ნაკლები ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ვიდრე მეხუთე ხუთდღიურში, სოფელ ეწერის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე კ. ქუქალია) 2.178 კილოგრამით, დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ (თავმჯდომარე ა. ჭეიშვილი) 1.852 კილოგრამით ნაკლები და სხვ. მთლიანად რაიონის კოლმეურნეობებმა მაისის მეექვსე ხუთდღიურში 9.300 კილოგრამით ნაკლები ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ვიდრე მეხუთე ხუთდღიურში.

ყველაზე ცუდი მდგომარეობაა სოფელ კულაშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ 31 მაისისათვის მოკრეფილი ჰქონდათ 9.970 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 18 პროცენტს უდრის. ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობაში მოუწყობელია შრომა, ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ზოგან კოლმეურნეებმა არ იციან მათ წინაშე მდგომი ამოცანები ჩაის კრეფა-დამზადების დარგში. მაგალითად, მერგოლურმა თინათინ ფანცულაიამ საუბარში ვერ თქვა ჩაის რამდენი ფართობი აქვს მიჩენილი რგოლს, რამდენი კილოგრამი უნდა მოკრიფოს გეგმით და რამდენი მოკრიფა ფაქტიურად მაისში. ანალოგიურ „უხერხულობაში“ აღმოჩნდა მერგოლური შურა ნიკურაძეც.

კოლმეურნეობებში უყურადღებოდ არის მიტოვებული მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების საქმე. ფედოსი ნიკურაძე, ზინა ლეჟავა, ნინო ჯოგლიძე ყოველდღიურად 13-20 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ ნაცვლად 8,5 კილოგრამისა. კომკავშირელ ნაზი ნიკურაძეს წლიური გეგმა 31 მაისისათვის 51 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. მისი პირობაა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. კიკაჩეიშვილი და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი გ. კალაძე არ დაინტერესებულან იმით, რომ ამ მოწინავე ადამიანების შრომითი საქმიანობა სხვა კოლმეურნეებისათვის გაეცნოთ.

არის ჩაის ფოთლის კრეფის წესების დარღვევის ფაქტებიც. ჩვენ ვნახეთ, რომ დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „შრომაში“ ჩაის ფოთოლს ვედროებსა და კალთებში კრეფდნენ. მსგავს შემთხვევებს ვხვდებით სხვა კოლმეურნეობებშიც. საკვირველია, რატომ ურიგდებიან ჩაის კრეფის აგრონწესების უხეშ დარღვევებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტები?

რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მოვალეობაა საჭირო ღონისძიებები განახორციელონ არსებული ნაკლოვანებების აომოსაფხვრელად, დარაზმონ სოფლის მშრომელები ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

რეიდის მონაწილენი:

მ. ლეკვეიშვილი,
აგრონომი,

ქ. კოკალეიშვილი,
საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის წევრი,

გ. სანაღირაძე,
მტკ-ის უფროსი ინსტრუქტორ-ბუხგალტერი,

ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 6 ივნისის ცნობებით).

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით: წლიურისა	გეგმის შესრულება %-ობით: მაის-ივნისისა	რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები
ბათუმის	37,6	80,2	ხ. ესაძე, ა. ანანიძე
ქობულეთის	32,8	70,8	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	28,5	62,0	ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	33,9	73,1	
გალის	30,2	65,2	დ. გოგოხია, ხ. ტუფური
ოჩამჩირის	32,9	71,6	ს. ალანია, ტ. სოსელია
გულრიფშის	36,9	80,1	ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	38,6	84,1	გ. ჭაჭია, პ. ცანავა
გუდაუთის	35,3	76,7	დ. ხვარცკია, ქ. გერია
სულ აფხაზეთში	31,9	69,2	
მახარაძის	29,5	64,1	შ. ჭანუყვაძე, დ. სიბაშვილი
ჩოხატაურის	32,2	70,1	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	30,2	65,6	დ. მანწყავა, მ. ვადაჭკორია
სამტრედიის	26,4	57,5	ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი
წულუკიძის	17,1	36,0	ს. ლეჟავა, მ. აბზიანიძე
ქუთაისის	21,1	46,9	— ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	28,6	62,2	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	26,4	59,3	ქ. ლომაძე, ი. გიორგობიანი
ცხაკაიას	19,0	40,4	ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია
აბაშის	14,3	31,0	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
გეგეჭკორის	24,5	53,5	ქ. ხუბულავა, გ. შეროზია
ზუგდიდის	24,1	52,5	მ. ღვინჯილია, ვ. ესართია
წალენჯიხის	29,2	65,2	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ჩხოროწყუს	27,1	58,8	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
ხობის	23,7	51,6	ა. წურწუმია, ხ. ნასარაია
თერჯოლის	40,3	86,9	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	23,0	49,3	შ. ხიდაშელი, გ. არევაძე
ჭიათურის	28,3	62,8	პ. აბესაძე, გ. ლომინე
ვანის	26,0	52,0	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქართველოს სსრ-ში	29,0	63,0	

ხობის რაიონის ცნობები არასრულია.

ლენინგრადი ემზადება თავისი 250 წლისთავისა

ნევის დიდი ქალაქი პირველად როდი იზდის თავის იუბილეს. ახლანდელი საუკუნის დამდეგს მან აღნიშნა თავისი არსებობის 200 წლისთავი. პეტერბურგის ძველი გაზეთების ფურცლებზე ნახავთ იმ ზეიმის ვრცელ აღწერას, რომელიც მაშინ გამართა მეფემ მაღალი წრის წარმომადგენლებთან ერთად. ეს იყო არისტოკრატიის დღესასწაული, რომელსაც სახალხო ზეიმთან საერთო არაფერი ჰქონდა. მეფის სატახტო ქალაქის გარეგნული მოჩვენებითი სილამაზის ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ მოჩანდა მშრომელი მასების გაჭირვებული მდგომარეობა.

იუბილეს დროს თვალს გადაავლებენ ხოლმე წარსულს, რომ წარსულთან შედარებით უკეთ შეაფასონ აწმყო. ასე იქცევიან დღეს ლენინგრადელები, რომლებიც ემზადებიან იმისათვის, რომ 23 ივნისს ზეიმით აღნიშნონ თავიანთი ქალაქის 250 წლისთავი.

ლენინგრადელებს მხურვალედ უყვართ თავიანთი ქალაქი, რომლითაც ისინი ამაყობენ. ნევის ოდესღაც უკაცრიელ და ჭაობიან ნაპირებზე ამ ქალაქის შექმნა ხალხის ნამდვილი შრომითი გმირობა იყო. ლენინგრადის შესანიშნავ არქიტექტურულ ანსამბლებში ხორცშესხმულია ბევრი გამოჩენილი ხუროთმოძღვრის შემოქმედება. ბევრი შესანიშნავი ფურცელია ჩაწერილი ქალაქის ბიოგრაფიაში. იგი მუდამ იყო კულტურის, ტექნიკის, მეცნიერების, მოწინავე რევოლუციური აზრის მნიშვნელოვანი კერა. სწორედ აქ დიდი ვ. ი. ლენინი ქმნიდა ძალას, რომელსაც წილად ხვდა მთელი ქვეყნის ცხოვრების შეცვლა; ორმოცი წლის წინათ აქ აფრიალდა დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა.

მას შემდეგ დაიწყო პეტროგრადლენინგრადის ახალი ისტორია, რომელიც აღნიშნულია ქალაქის არნახული განვითარებით, მისი, როგორც სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი ცენტრის, ზრდით. ლენინგრადელები ყოველივე ამაზე ფიქრით ემზადებიან საიუბილეო ზეიმისათვის, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნის დღესასწაული იქნება.

საინტერესოა ამ დღეებში ქალაქის შემოვლა. მთავარ მოედნებსა და პროსპექტებზე და გარეუბნებში ენერგიულად მიმდინარეობს შენობების, ძეგლების განახლება, აწყობენ სკვერებს, ბულვარებს. მთელი თავისი 250 წლის ისტორიის განმავლობაში ქალაქი ასე ლამაზი და ასე საზეიმოდ მოკაზმული არ ყოფილა. განსაკუთრებით კარგია ნევის პროსპექტი, სადაც გაზაფხულის განმავლობაში შეკეთდა უკლებლივ ყველა შენობა. ყველგან იგრძნობა მრავალი ათასი რესტავრატორის, მშენებლის, მებაღის ნაყოფიერი შრომა. ზოგიერთმა გმირობა გამოიჩინა დავალების შესასრულებლად. ეს შეეხება, მაგალითად, პეტრე-პავლეს ტაძრის — ლენინგრადის ყველაზე მაღალი ნაგებობის შპილის შეკეთებას. ამ შენობის სიმაღლე 122 მეტრია.

შპილის წვეროზე უხარაჩოებოდ, მხოლოდ თოკის გამოყენებით ავიდნენ მამაცი ალპინისტები — არქიტექტორი ი. სპეგალსკი და მისი თანაშემწეები ო. ტიხონოვი და პ. ბუდანოვი. მათ მომზადეს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოავარაყონ შპილი და მისი დამაგვირგვინებელი ფლუგერიანი ბურთი ჯვრისა და ანგელოსის გამოხატულებით.

ლენინგრადელებს თვით ბუნებაც უწყობს ხელს იმაში, რომ რაც შეიძლება უკეთ მორთონ თავიანთი ქალაქი. დაიწყო თეთრი ღამეები, როცა გამჭვირვალე ბინდში განსაკუთრებული პოეტური მომხიბვლელობით მოჩანან განუმეორებელი არქიტექტურული ანსამბლები.

ასე ემზადება ლენინგრადი თავისი დღესასწაულისათვის.

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი ნიშნებია. არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეები კეთდება ამ დღეებში საწარმოებსა და დაწესებულებებში. აქ ყველაფერი შემოქმედებითი პათოსით არის გამსჭვალული. ამას წინათ მოწინავე ქარხნების — კიროვის სახელობის, ნევის ლენინის სახელობის, მოლოტოვის სახელობის, ფოლადსაგლინავი ქარხნების, „კრასნი ტრეუგოლნიკის“ და მიქოიანის სახელობის ფაბრიკის კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე — 23 ივნისისათვის შეასრულონ ნახევარი წლის გეგმა. ახლა ამ ლოზუნგით მუშაობს ათობით და ასობით საწარმოო კოლექტივი, ისინი იუბილესათვის სამშობლოს უმზადებენ ძვირფას შრომითს საჩუქრებს.

დღეს ყური რომ დაუგდოთ ლენინგრადელების საუბარს საწარმოებში, ყველაზე ხშირად გაიგონებთ სიტყვებს: ახალი, პირველი, უდიდესი. ყველა ეს განსაზღვრა სხვადასხვა პროდუქციას ეხება. მაგალითად, ლენინის სახელობის ქარხანაში დაიწყეს ორთქლის პირველი საბჭოთა ტურბინის დეტალების ჩამოსხმა. ამ ტურბინის სიმძლავრეა 200 ათასი კილოვატი. ლენინგრადში შენდება მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი—გიგანტი. სვერდლოვის სახელობის ქარხანაში შექმნეს ახალი ტიპის ჩქაროსნული პირგადამღები-საღარავი ნახევრადავტომატი.

ბევრი ასეთი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება. ლენინგრადის მთელი რაიონები კისრულობენ ვალდებულებას ვადამდე შეასრულონ ნახევარი წლის პროგრამა.

დღესასწაულის მოახლოება იგრძნობა კიდევ იმითაც, რომ ხალხი ისწრაფვის შეისწავლოს ქალაქის მრავალრიცხოვანი ღირსშესანიშნაობანი. რესტავრაციის შემდეგ ახლახან გაიხსნა პეტრე I-ის სახლ-მუზეუმი. ეს ხის პატარა შენობა ლენინგრადის ტოლია. მას საგულდაგულოდ უვლიან. მრავალრიცხოვანი ექსკურსიები ათვალიერებენ ძველი დროის სხვა ძეგლებსაც — შენობებს, პარკებს, მონუმენტებს — აღტაცებით ახსენებენ ნიჭიერ რუს ოსტატებს, ამ შედევრების შემქმნელებს, რომელთა მეოხებით ლენინგრადი მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად ითვლება.

აი ილიჩის შესახვევში მდებარე სამსართულიანი სახლი № 7/4, რომელიც გარეგნულად არაფრით არ გამოირჩევა. იგი ძალიან ბევრისათვის არის ცნობილი. აქ, ამ სახლში 1894-1895 წლებში ახალგაზრდა ვ. ი. ლენინს დაქირავებული ჰქონდა პატარა ოთახი. აქ დაიწერა მისი შრომები „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“. ამ შრომებით ვლადიმერ ილიას-ძემ იდეურად ბოლომდე გაანადგურა ნაროდნიკობა, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა „ლეგალურ მარქსისტებს“.

ამ ისტორიულ ბინასთან დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძის, როგორც „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პეტერბურგის კავშირის“ ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, რევოლუციური მოღვაწეობა. ბინა გადაქცეულია მუზეუმად და ახლა ისევე გამოიყურება, როგორც 60 წლის და მეტი ხნის წინათ.

ლენინგრადში — სამი რევოლუციის ქალაქში 200-ზე მეტი ღირსსახსოვარ ადგილია, რომლებიც მოგვაგონებენ მუშათა კლასის მბრძოლ ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების მჩქეფარე რევოლუციურ მოღვაწეობას. ეს ადგილები ათასობით ადამიანის ყურადღებას იპყრობს, გვაღელვებს თავისი დამაჯერებლობით და წარმოდგენაში განგვაცალებს ბევრ დაუვიწყარ ამბავს.

250 წელი... ჩვენ გაცილებით უფრო მეტი ხნის ქალაქები გვაქვს, მაგრამ ლენინგრადი განთქმულია არა ასაკით, არამედ თავისი სახელოვანი ისტორიით, თავისი აწმყოთი და მომავლით. ამიტომაც ესოდენ სასიხარულო მოვლენაა მისი იუბილე. ამიტომაც ასეთ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ადამიანები მისდამი. ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად ახლა ბევრი რამ კეთდება. უშვებენ საიუბილეო გამოცემებს, აგებენ ბომებს, ღია ბარათებს, ეწყობა გამოფენები, იკითხება ლექციები, მოხსენებები, იმართება საუბრები; სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტმა გამოქვეყნა თეზისები ლენინგრადის 250 წლისთავის შესახებ.

ქალაქის იუბილესათვის რესტავრაციის შემდეგ გაიხსნება პეტრე-პავლე და ისაკის ტაძრები — მუზეუმები.

დღესასწაულის ცენტრალური მოვლენა იქნება ოჯახყების მოედანზე დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის ძეგლისათვის საძირკვლის ჩაყრა. მოსკოვის მხრიდან ლენინგრადში შესასვლელთან საფუძველი ჩაეყრება მონუმენტს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების აღსანიშნავად.

შემუშავებულია საიუბილეო ზეიმის მოწყობის გეგმა. ქალაქი სადღესასწაულოდ მოირთვება, ბაღებსა და პარკებში მოეწყობა სახალხო სეირნობა, კულტურის სასახლეებსა და სახლებში — ბალები და საღამოები. 22 ივნისს ლენინგრადის საქალაქო საბჭოს დეპუტატები პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად შეიკრიბებიან საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესიაზე. მასში მონაწილეობას მიიღებენ მშრომელთა დელეგაციები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან, აგრეთვე საზღვარგარეთელ სტუმრები.

იუბილეს დღეს ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შეიკრიბება საერთო საქალაქო მიტინგი. საღამოს ქუჩებსა და მოედნებზე, სანაპირო ქუჩაზე და პარკებში აინთება სადღესასწაულო ფეიერვერკი.

ლენინგრადელები დიდი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას, რომლითაც დაწესებულია ნედლეულ „ლენინგრადის 250 წლისთავის სახელოვრად“. ახლა ამ მედალს უშვებენ ლენინგრადის „მონეტნი დვორი“. მალე ეს მედალი მკერდს დაუმშვენებს ქალაქის საუკეთესო ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი შრომით სახელი შემატეს მას.

ო. კარიშევი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

ქ. ლენინგრადი.



ლენინგრადი. ხალტურინის ქუჩა. ფოტო ნ. ნაუმენკოვისა.

დაიწყო თამბაქოს მოსავლის შერჩევითი აღება

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა დაიწყეს თამბაქოს შერჩევითი შეტეხა, ამთავითვე იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის ბოლგანინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. შ. თოდუა) ჩაება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრა წელს 36 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 18 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 11 ცენტნერისა და სახელმწიფოს ჩაბაროს 40 ტონის ნაცვლად 67 ტონა თამბაქო. პირველ ბრიგადას, რომელსაც გამოცდილი მეთამბაქოე გ. დეპელიანი ხელმძღვანელობს, ვალდებულება აქვს ნაკისრი 13 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 20 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერისა.

კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაამთავრა თამბაქოს რგვა და წარმატებით მოაწყო პირველი და მეორე თონნა. პირველი ბრიგადის წევრები უკვე შეუდგნენ თამბაქოს შერჩევით შეტეხას. კოლმეურნე ა. ბარათელმა, რომელიც 0.35 ჰექტარ თამბაქოს პლანტაციას უვლის, უკვე შეტეხა და ანემსა პირველი ათეული ზონარმეტრი თამბაქო.

თამბაქოს შერჩევითი შეტეხა დაიწყეს აგრეთვე გოლრიფშის რაიონის სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალ სოფელში“, გაგრის რაიონის სოფელ ხეიანის სტალინის სახელობის, განთიადის კიროვის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

სურათზე: სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის ბოლგანინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს მაშო ბარათელს და მის ქალიშვილს ციალას პლანტაციიდან გამოაქვთ შეტეხილი თამბაქო.

ფოტო ნ. ჯომიდავასი.

წარმატებით ჩავატაროთ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა

ერთ თვეზე მეტია ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1957 წლის მეორე ნახევრისათვის.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს „სოიუზპეჩატის“ ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი გამავრცელებლების, აქტივის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკების ამოცანაა მთლიანად ადადგინონ ხელმოწერა ყველა გაზეთსა და ჟურნალზე, რომლებსაც ვადა უთავდება მიმდინარე წლის პირველ ივლისს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალი გამოცემების პოპულარიზაციას და მათს ფართოდ გავრცელებას.

ახლა მრეწველობის მუშაკთა დასახმარებლად მრავალი გაზეთი და ჟურნალი გამოდის, რომლებშიც გაშუქებული იქნება მრეწველობისა და მშენებლობის ძართვის ახალ, სრულყოფილ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებული საინტერესო. აქტუალური საკითხები. ამიტომ საჭირო იქნება მეტი ყურადღება მიექცეს მრეწველობის მუშაკებს შორის დარგობრივი გამოცემის ფართოდ გავრცელებას.

მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ხელმოწერით მიიღებენ სამ ახალ ჟურნალს — „ცისკარს“, „ლიტერატურნაია გრუზიას“ და „საბჭოთა ქალს“. კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორებში, „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში უკვე დაიწყო ხელმოწერა ამ ახალ ჟურნალებზე.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის მიმდინარეობის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ იქ სადაც პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ხელმძღვანელობენ ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიას, საქმიანად ეხმარებიან კავშირგაბმულობის ორგანოებს, სასურველ შედეგსაც აღწევენ. მაგალითად მახარაძის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, საჩხერის რაიონებში სეზონზე წარმატებებს მიაღწიეს ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეში. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით აბაშის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ქარელის, მარნეულის რაიონების შესახებ. აქ ძალიან ნელ ტემპით მიმდინარეობს როგორც ცენტრალური ისე რესპუბლიკური და ადგილობრივი გამოცემების გავრცელება.

კავშირგაბმულობის რაიონულმა მუშაკებმა საზოგადოებრივმა გამავრცელებლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ წარმატებით დამთავრდეს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა. ამ საქმეში მათ აქტიურად უნდა დეხმარონ ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები. საჭიროა მასიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო ამ გამოცემებზე ხელმოწერა დავამთავროთ დაწესებულ ვადებში.

ა. შარაშიძე,
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების განყოფილების უფროსი.

აზერბაიჯანისა და სომხეთის კინოფილმების ფესტივალი

1-7 ივნისამდე კინოთეატრ „რუსთაველში“ ამიერკავკასიის „თეატრალურ გაზაფხულთან“ დაკავშირებით ჩატარდა აზერბაიჯანული და სომხური კინოფილმების ფესტივალი.

ფესტივალი წარმოადგენდა მოძმე რესპუბლიკების მიერ კინემატოგრაფიის დარგში მოპოვებულ წარმატებათა დემონსტრაციას.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ერევნის კინოსტუდიამ გამოუშვა 9 ფილმი, აქედან 8 აქტუალურ თანამედროვე თემაზე. თანამედროვე თემაზე ფილმების შექმნის მხრივ წარმატებები აქვს ბაქოს სტუდიასაც.

აზერბაიჯანული კინოხელოვნება ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სამი საინტერესო ნაწარმოებით — მხიარული მუსიკალური კომედიით „ის თუ არა, მაშ ეს“, მუსიკალური ფილმით „საყვარელი სიმღერა“ („ბახტიარი“) და თემატიკურად მეტად საინტერესო ფილმით „ორნი ერთი უბნისან“.

თბილისელმა მაყურებელმა დიდი სიამოვნებით ნახა ეკრანზე გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის, აზერბაიჯანული საოპერო ხელოვნების ფუძემდებლის უზეირ ჰაჯიბეკოვის ცნობილი მუსიკალური კომედია „ის თუ არა, მაშ ეს“.

მოწინავე აზერბაიჯანული ლიტერატურის რეალისტური ტრადიციის მიმდევარი უ. ჰაჯიბეკოვი ყველა თავის ნაწარმოებში გამოდიოდა ხალხის მასების უუფლებობის, პიროვნების დამონების წინააღმდეგ, ამათრახებდა გონებადახშულობას, ფანატიზმსა და სიბნელეს.

ასეთია უ. ჰაჯიბეკოვის ეს ნაწარმოებიც. მისი მძაფრი სოციალური მიზანდასახულობა, სახეთა მკაფიო ინდივიდუალიზება, მისი მელოდიური, ამავე დროს უაღრესად მეტყველი მუსიკა დიდ შესაძლებლობას უქმნიდა ფილმის დამდგმელთა ნიჭიერ კოლექტივს (სცენარის ავტორი საბიტ რახმანი, დამდგმელი რეჟისორი ჰუსეინ სეიდ-ზადე, მთავარი ოპერატორი ა. ატაკიშიევი, მხატვრები დ. აზიმოვი, ნ. ზეინალოვი).

ფილმში მოთხრობილია ახალგაზრდა შეუვარებულთა (მსახიობები თ. გეზალოვა და ა. მირზაკულიევი) ამბავი, რომელთა ბედნიერებას უამრავი დაბრკოლება ელობება წინ. ქალიშვილის მამას რუსკამბეკს (მსახიობი ა. ეერანიანი) სურს მიათხოვოს იგი მდიდარ, ბებერ ვაჭარს მეშედი გუბაზს, რომლის როლს კოლორიტულად ასრულებს ა. აგაევი.

ფილმში გამოკვეთილია ძველი ბაქოს ხაზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მთელი გალერეა. აქ არიან მსხვილი ვაჭრები, გაკოტრებული ბეგები, გამყიდველი ყურნალისტები, მოწინავე სტუდენტები, უღარიბესი მშრომელები — ამბალები და სხვ. პერსონაჟთა დახასიათების დროს ფილმის ავტორები ფართოდ იყენებენ გროტესკისა და ზოგჯერ ბუფონადის ხერხებს, რაც კიდევ უფრო მეტ მამხილებელ ძალას ანიჭებს ნაწარმოებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილმის მუსიკალური მხარე, რომელიც მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

აზერბაიჯანული ფილმების ფესტივალზე წარმოდგენილ მეორე მუსიკალურ კინოკომედიაში, რომელიც ბაქოს კინოსტუდიამ ჯერ კიდევ 1955 წელს დადგა, აგრეთვე ფართოდ არის გამოყენებული აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა და საბჭოთა სიმღერების მელოდიები (ფილმის მუსიკა ეკუთვნის ნიჭიერ აზერბაიჯანელ კომპოზიტორს ბ. კულიევს, ხოლო სიმღერების ტექსტი — რ. რზას, ე. ელიბეიოლის, ნ. დორიზოს, პ. სიმონოვს, ა. გარნაკერიანს).

ფილმის სცენარისტებმა ბ. ლასკინმა, ნ. რიეკოვმა და რეჟისორმა დ. სფაროვამ შექმნეს საინტერესო ფილმი ხალხის წრიდან გამოსული მომღერლის შესახებ. ფილმის მთავარ გმირს, მენავთე ბახტიარ მურადოვს, რომლის როლს შესანიშნავად ასრულებს ცნობილი აზერბაიჯანელი მომღერალი რაშიდ ბეიბუთოვი, აქვს საუცხო ხმა, მაგრამ თავდაპირველად სერიოზულად არ სწავლობს სიმღერას, ვინაიდან ფიქრობს, რომ ნავთობის სარეწებში მუშაობით უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს სამშობლოს. სისტემატურად გამოდის რა თვითმოქმედების კონცერტებზე, ბახტიარი მალე ხვდება გაქნილი მუსიკალური საქმოსნის გავლენის ქვეშ და ანიავებს თავის ნიჭს იაფფასიანი წარმატებისა და ფულის გამო. ბახტიარ მურადოვის მეგობრები მკაცრად კიცხავენ მის უმსგავსო ხაქციელს. ფილმის ავტორები დიდი მხატვრული ოსტატობით გვიჩვენებენ ბახტიარის გარდაქმნას, იმას, თუ რა სერიოზულად ეუფლება იგი ვოკალურ ხელოვნებას და რამდენიმე წლის შემდეგ ცნობილ მომღერლად ხდება.

კადრი აზერბაიჯანული მხატვრული ფილმიდან „ის თუ არა, მაშ ეს“.

• • •

ფესტივალზე დემონსტრირებულ იქნა აგრეთვე მძაფრი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფილმი „ორნი ერთი უბნიდან“. ფილმი დადგმულია ახალგაზრდა რეჟისორების ი. იბრაგიმოვისა და ი. გურინის მიერ ცნობილი თურქი პროგრესული მწერლის ნაზიმ ჰიქმეთისა და ანა ბეგიჩევას სცენარის მიხედვით. მასში მოთხრობილია ახალგაზრდობის ბედზე ბურჟუაზიულ სამყაროში.

მოძმე სომხეთის კინოხელოვნება წარმოდგენილი იყო 4 ფილმით — „ქუთელის ბილიკი“, „პატიოსნებისათვის“, „გული მღერის“ და „საუკუნეები და წლები“.

ფილმი „ქუთელის ბილიკით“ გადადებულია პიტერ აბრაჰამსის ცნობილი რომანის მოტივების მიხედვით და მოგვითხრობს სამხრეთ აფრიკის კავშირის ზანგი მოსახლეობის მძიმე ცხოვრებაზე, აუტანელ სიღარიბესა და ტანჯვა-წამებაზე. სურათი გვიჩვენებს იმ საშინელ მხეცობას, შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებას, რომელსაც კოლონიზატორები სჩადიან ადგილობრივი ფერადკანიანი მოსახლეობის მიმართ.

კინოდრამატურგებმა ს. როშალმა და ლ. მაკაევმა რომანის საფუძველზე შექმნეს ლიტერატურული სცენარი, რომელიც სიმართლით გადმოგვცემს უბრალო ადამიანების მძიმე ცხოვრებას.

სურათი დადგმულია ს. კეკორკოვისა და ე. ქარამიანის მიერ, ოპერატორია ი. დილდარიანი. ფილმში ჩანს რეჟისორების დაკვირვებული მუშაობა, შემოქმედებითი ფანტაზია და მხატვრული გემოვნება. სურათში გადაღებული არიან სომხეთის შესანიშნავი მსახიობები რ. ნერსესიანი, გ. ჯანიბეკიანი, გ. გაბრიელიანი და ტ. ხარიანი.

ფილმში მთავარი გმირის ახალგაზრდა ზანგი მასწავლებლის ლენი სვარცის როლს მაღალი აქტიორული ოსტატობით ასრულებს ვ. მედვედევი. მსახიობი ქმნის თავისი ხალხის ერთგული შვილის, ბოროტების წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლის მკაფიო სახეს.

ერევნის კინოსტუდიის შემოქმედებითი გამარჯვებაა მხატვრული ფილმი „ნამუსისათვის“, რომელიც დადგმულია სომხური კლასიკური დრამატურგიის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოების — ა. შირვანზადეს ამავე სახელწოდების დრამის მიხედვით.

სტუდიის შემოქმედებითმა კოლექტივმა (სცენარის ავტორი ლ. კარაგეზიანი, დადგმა რეჟისორ ა. ალ-არტიანისა, ოპერატორი ს. გევორქიანი, მუსიკა კომპოზიტორ ე. ოვანესიანისა) შეძლო სწორად გაეხსნა დრამის იდეური შინაარსი და მოეცა ბურჟუაზიული საზოგადოების შეუფერადებელი სურათი.

ფილმის წარმატებას ხელს უწყობს მსახიობთა შესანიშნავი თამაში. პირველ რიგში აღსანიშნავია გ. ნერსესიანი ელიზბარიანის როლში. მსახიობმა მაღალი ოსტატობით, ფსიქოლოგიური სიღრმით გახსნა მილლიონერის ვერაგი, მზაკვრული ბუნება. მის მიერ შექმნილ სახეში ნათლად ჩანს გამდიდრების წყურვილით შეპყრობილი, მხეცური მისწრაფებით გატაცებული, მახინჯი სულის ადამიანი, რომლისთვისაც გარდა ქონების შეძენისა არ არსებობს სხვა მიზანი.

კარგად ასრულებენ როლებს ხ. ნაზარეტიანი (ოთარიანი) და ვ. ვარდერესიანი (მარგარიტა). სურათში ელიზბარიანის უფროსი ქალიშვილის როზალიას როლს წარმატებით თამაშობს თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი მარინე თბილელი.

გასულ წელს ერევნის კინოსტუდიის ახალგაზრდულმა შემოქმედებითმა კოლექტივმა რეჟისორ გ. მელიქ-ავაქიანის ხელმძღვანელობით გადაიღო მუსიკალური მხატვრული ფილმი „გული მღერის“, ახალგაზრდა რეჟისორის ეს პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი კარგად მიიღო საბჭოთა მაყურებელმა. სურათში, და საერთოდ კინოში, პირველად მონაწილეობს ცნობილი სომეხი მომღერალი არტურ აიდინიანი.

მხატვრულ-დოკუმენტალური ფილმი „საუკუნეები და წლები“ (სცენარი გ. ემინისა, რეჟისორი ლ. ისაკიანი, ოპერატორები გ. არამიანი და ნ. სიმონიანი, კომპოზიტორი ა. ხატაიანი) მოგვითხრობს იმ გრანდიოზულ მიღწევებზე, რომლებიც მოძმე სომეხმა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში.

ფილმში შესანიშნავად არის გადმოცემული რესპუბლიკის მრავალფეროვანი, შინაარსიანი ცხოვრება. ოპერატორ ა. ხატაიანის მიერ გადადებული კადრები მაყურებელს უჩვენებენ სომხეთის ბუნების ხილამაზეს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს გულწრფელად აღფრთოვანებს და ახარებს მოძმე აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში გმირული შრომით მოპოვებული წარმატებები.

ამიერკავკასიის პირველი „თეატრალური გაზაფხული“, რომელიც ახლახან ჩატარდა, და აზერბაიჯანისა და სომხეთის კინოფილმების ფესტივალი ხელს შეუწყობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისა და კინოხელოვნების განვითარებას.

ე. ბაგრატიონი.

საბჭოთა დელეგაცია — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე კოლომბოში

10-16 ივნისს კოლომბოში (ცეილონი) გაიმართება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია.

სესიაში მონაწილეობას მიიღებენ ხუთი კონტინენტის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენლები. ისინი განიხილავენ მშვიდობისათვის ხალხთა ერთიანი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

6 ივნისს თვითმფრინავით „ტუ-104“ ცეილონში გაფრინდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ა. კორნეიჩუკი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ა. სურკოვი, მ. კოტოვი, მ. ნესტეროვი, მირზო ტურსუნ-ზადე, ვ. სოროკინი, კუტაისი და კოლომნის მიტროპოლიტი ნიკოლაი, ბ. შარაპოვი, ს. დილიკოვი, პ. აზიმოვი, ზ. ისრაილოვა და ა. კარევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს დღის მეორე ნახევარში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ეწვია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმს. დელეგაცია მიიღეს უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კიმ დუ ბონმა და უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარემ ლი ენმა.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა.

დღეს საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ, რომელსაც მ. პ. ტარასოვი მეთაურობს, გვირგვინით შეამკო განთავისუფლების ძეგლი ფხენიანში მორანგბონის მთაზე.

ბოლიგის გამოსელა იგალიის დეპუტატთა პალატაში

რომი, 6 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს დეპუტატთა პალატაში დაიწყო დისკუსია ძოლის მთავრობის პროგრამის გამო. კამათის მსვლელობაში გამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი პალმიირო ტოლიატი. მან მკვეთრად გააკრიტიკა არაპარლამენტური მეთოდი, რომლის საშუალებითაც გადაიჭრა მთავრობის კრიზისი. ორატორმა აშნილა შეთანხმება ქრისტიან-დემოკრატთა პარტიასა და მემარჯვენე პარტიებს — მონარქისტებსა და ნეოფაშისტებს შორის იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ მთავრობისათვის უმრავლესობა პარლამენტში.

ტოლიატიმ განაცხადა, რომ წინა მთავრობები ახორციელებდნენ საგარეო პოლიტიკას, რომელიც არ შეესაბამებოდა იტალიის ინტერესებს, და რომ ძოლის ბროგრამა არ სახავს ახალ პერსპექტივებს იტალიის წინაშე.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ახალი საერთაშორისო ურთიერთობის დამყარებაში, რათა აღმოიფხვრას ატომური ომის საფრთხე. შემდეგ მან ანალიზი გაუკეთა საშინაო პოლიტიკის პროგრამას და მკვეთრად გააკრიტიკა იგი.

კამათის მსვლელობაში გამოვიდნენ აგრეთვე ეროვნულ-მონარქიული პარტიის წარმომადგენელი ვიოლა, რომელმაც მხარი დაუჭირა მთავრობას, და სახალხო-მონარქიული პარტიის წარმომადგენელი გრეკო, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ჯგუფი თავს შეიკავებს კენჭისყრის დროს.

საფრანგეთის კომპარტიის მიმართვა სოციალისტებისადმი

პარიზი, 7 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული სხდომა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფებისა ეროვნულ კრებაში, რესპუბლიკის საბჭოსა და საფრანგეთის კავშირის კრებაში. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი „პოლიტიკური მდგომარეობა მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით“.

სხდომის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ შესაძლებელია ახლანდელი კრიზისის გადაჭრა ხალხის სურვილების შესაბამისად, რომელიც გამოთქმული იყო 1956 წლის 2 იანვრის არჩევნებში. სხდომაზე მიღებულ იქნა მიმართვა სოციალისტ მშრომელებისადმი. ამ დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნულია მშრომელთა შეშფოთება მთავრობის ახლანდელი კრიზისის შედეგის გამო და ნათქვამია, რომ „მ მოლეს მთავრობა „დაამხო იმიტომ, რომ იგი განაგრძობდა და კიდევ უფრო გაღრმავა ალჟირში თავის წინამორბედთა პოლიტიკა, რამაც მოუსპო მას კომუნისტების, პროგრესისტების, ხოლო შემდეგ ზოგიერთი რადიკალის მხარდაჭერა“.

აღნიშნავენ რა, რომ პარლამენტის ყველა მემარჯვენე ჯგუფი მოითხოვს ალჟირის ომის განგრძობას, გამალებულ ატომურ შეიარაღებასა და კონსტიტუციის გადასინჯვას, მიმართვის ავტორები ამბობენ: „ამრიგად, ჩვენ მოგველის ფაქსიმალური სიძნელეები, მაქსიმალური სიფატაკე, მაქსიმალური ტანჯვა. ეს იქნებოდა ობსკურანტიზმის გამარჯვება განთლების დარგში, ისედაც შეზღუდულ თავისუფლებათა შეკვეცა. ეს მოგვიტანდა კატასტროფას ალჟირში“.

მიმართვაში ნათქვამია, რომ სოციალისტური პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელს სურს შეშინას შესაძლებლობა იმისათვის, რომ განხორციელდეს „მემარჯვენე ფრთის ცდა“, ესე იგი ხელისუფლება [illegible] მემარჯვენე პარტიებს, მაგრამ [illegible] რომ „ამგვარი ცდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ხალხის საზიანოდ, ეროვნული ინტერესების საზიანოდ“.

„თქვენზე და თქვენს პარტიაზე, — ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, — დიდად დამოკიდებულია, რომ რეაქციამ განიცადოს მარცხი და რომ შეიქმნას მემარცხენე უმრავლესობა იმ პოლიტიკის მიმართულებას შესაცვლელად, რომელიც დღემდე ხორციელდებოდა... რეაქციონერები მარჯვნით ეწევიან თქვენს პარტიას. ჩვენ გაერთიანებისაკენ მოვუწოდებთ მემარცხენე მუშებსა და დემოკრატიულ ძალებს“.

ცენტრალური კომიტეტი და კომუნისტი პარლამენტარები აღნიშნავენ, რომ მემარცხენე უმრავლესობას ეროვნულ კრებაში ფართოდ დაუჭერდა მხარს ხალხი, რამდენადაც საფრანგეთში ჩაღდება მოძრაობა მშრომელთა ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, ალჟირში მშვიდობის აღდგენისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისა და განიარაღებისათვის, საერო სკოლის დასაცავად. მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მემარცხენე მთავრობა უნდა დაეყრდნოს მემარცხენე უმრავლესობას, რომელშიც აუცილებლად უნდა შედიოდნენ კომუნისტები.

„კომუნისტთა და სოციალისტთა მოქმედების ერთიანობით, — ნათქვამია დასასრულ მიმართვაში, — შეიძლება იშვას და განვითარდეს მძლავრი მოძრაობა, რომელსაც ბოლოს მოუყვებოდა 2 იანვარს მიცემულ დაპირებათა შესრულება. დღეს ჩვენს ხელთ არის ისეთი მთავრობის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც განახორციელებს დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, სოციალური პროგრესის პოლიტიკას იმ პირობით, რომ ერთად ვიმოქმედებთ“.

გერმანიის შედეგაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის არჩევნების წინ

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ურილობა

ჰამბურგი, 7 ივნისი. (საკდესი). გუშინ ჰამბურგში მუშაობა დაამთავრა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო ყრილობამ. გუშინდელ სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ე. მენდიმ და ზლუზვიგ-ჰოლშტაინის მხარის იუსტიციის მინისტრმა ბ. ლევერენცმა. ამ მოხსენებებში მკვეთრად იყო გაკრიტიკებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გეგმები დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური შეიარაღების მიმართ და მთავრობის პოლიტიკა გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხში.

ე. მენდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ატომური ომის საფრთხე, უნდა დავადგეთ გამალებული ატომური შეიარაღების შემცირების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ხელშეწყობის გზას. მომხსენებელმა მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს შეწყვიტონ ატომგუნლის საცდელი აფეთქებანი. მენდიმ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ დაუშვებელია ბუნდესვერის ატომური შეიარაღება. მან განაცხადა, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტია ილაშქრებს დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური იარაღით აღჭურვის წინააღმდეგ მანამდე, სანამ არსებობს გერმანიის გაერთიანების თუნდაც უმცირესი შანსი. ვისაც სურს გერმანიის გაერთიანება, განაგრძო მომხსენებელმა, მას არ შეუძლია დაუშვას, რომ ელბის ორივე მხარეზე იყვნენ ატომური რაკეტებით შეიარაღებული გერმანელთა ნაწილები, მან უნდა იბრძოლოს არა ამისათვის, რომ ატომური იარაღი იყოს განლაგებული გერმანიის მიწაზე, არამედ იმისათვის, რომ შეიქმნას „დაძაბულობის შენელების ზონა“.

ლევერენცმა თავის მოხსენებაში ბრალდებები წაუყენა ადენაუერის მთავრობას, რომ განგლილი 8 წლის მანძილზე მან ვერ შეძლო გერმანიის გაერთიანება და ამჟამად ვერ ხედავს კონკრეტულ გზებს გერმანიის საკითხის გადასაჭრელად.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ რ. მაიერმა. მან განაცხადა, რომ პარტია ეცდება ხელი შეუშალოს მომავალ არჩევნებში როგორც ქრისტიან დემოკრატთა კავშირის, ისე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვებას. მისი სიტყვებით, თავისუფალი დემოკრატიული პარტია ეცდება როგორც დამოუკიდებელმა ძალამ გავლენა მოახდინოს ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკაზე.

რადიომაუწყებლობის კომპანიის „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ ვიცე-პრეზიდენტის განცხადება

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საკდესი). იმ უდიდეს ინტერესთან დაკავშირებით, რომელიც გამოიწვია ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის გადაცემამ ტელევიზიითა და რადიოთი, „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ ვიცე-პრეზიდენტმა ლ. გარისმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კომპანია ამ საუბრის გადაცემის შესახებ შეუთანხმდა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ რადიოკომპანიებსა და ტელევიზიის კომპანიებს, რომლებიც არ შედიან „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემაში“. გარისმა განაცხადა, რომ 4 ივნისის საღამომდე კომპანიამ მიიღო ნ. ს. ხრუშჩოვის სატელევიზიო ფილმ-საუბრის დაკვეთები ჩიკაგოს, სენტ-ლუისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქების მთელი რიგი რადიოსადგურებისა და ტელევიზიის სადგურებისაგან. წარმოვებს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ეს ფილმი გადასცეს ქალაქ ლოს-ანჯელოსის ერთ-ერთმა სადგურმა. ამას გარდა, „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემამ“ ნება დართო გავრცელდეს სატელევიზიო ფილმი ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრით ინგლისში, კანადაში, ავსტრალიაში, კუბაზე, შვეიცარია და მექსიკაში.

აფხაზეთის კურორტებზე

ბაგრა. კურორტის პარკი. ფოტო ხ. კოროტკოვისა.

• • •

საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში აფხაზეთის კურორტებს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავიათ. აქ, ამ კურორტებზე დასასვენებლად და ჯანმრთელობის აღსადგენად ათასობით მშრომელი ჩამოდის ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან. მათ განკარგულებაშია ათობით საუკეთესოდ მოწყობილი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, აგრეთვე პანსიონატები. ბევრი დამსვენებელი შვებულების დღეებს აფხაზეთის ტურისტულ ბაზებში ატარებს. აფხაზეთის კურორტების კეთილმოსაწყობად, სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისათვის ყოველწლიურად დიდძალი თანხა იხარჯება. თანდათან იზრდება სამკურნალო და დასასვენებელ ობიექტთა რიცხვი.

წელს აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა სამმართველო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სამკურნალო ობიექტების, ბაღპარკების რემონტზე, კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე 7.500 ათას მანეთზე მეტ თანხას დახარჯავს.

გაგრა

გაგრაში გაცხოველებით მიმდინარეობს საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა, რაც ივლის-აგვისტოში უნდა დამთავრდეს. რკინიგზის ვაგზლის რაიონში მიმდინარეობს და აგვისტოში დამთავრდება საყრდენი კედლის ამოყვანა, სანატორიუმ „ნეფტიანიკში“ გაჩაღებულია გაზიფიკაციის სამუშაოები, წლის ბოლოსათვის განზრახულია მთლიანად კურორტი გაგრა გაზით გათბობაზე გადავიდეს. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სანატორიუმებს „მაიაკს“, „ელეკვარას“, „რიწას“ და დასასვენებელ სახლს „სპორტს“. სანატორიუმ „ელეკვარასათვის“ შეძენილ იქნა ბევრი ახალი ინვენტარი და დგამავეჯი. დამთავრდა სტალინის სახელობის დასასვენებელი სახლის მიმდინარე რემონტი. აქ ამჟამად 270 კაცი ისვენებს. დასასვენებელი სახლის ეზოში წელს დაირგო 500-მდე ძირი დეკორაციული მცენარე. დასასვენებელ სახლს კლუბი არ ჰქონდა, რაც აძნელებდა კულტმასობრივი ღონისძიებების განხორციელებას. წელს დასასვენებელი სახლის მეორე კორპუსის სასადილოს ყოფილი დარბაზი გადაკეთდა 250-ადგილიან კლუბად.

გაგრის კურორტთა სამმართველოს პოლიკლინიკა კარგად არის მოწყობილი. მას აქვს რენტგენის, ფიზიოთერაპიის, კარდიოგრაფიის, სტომატოლოგიური და სხვა კაბინეტები. თვითეული მათგანი უზრუნველყოფილია საბჭოთა სამედიცინო ხელსაწყოებით. წელს შეძენილ იქნა სასწრაფო დახმარების ახალი ავტომანქანა, რომელიც დამსვენებლებს მოემსახურება. პოლიკლინიკაში დაწესებულია ექიმების სადღეღამისო მორიგეობა. აქ მუშაობენ კვალიფიციური კადრები.

აფხაზკურორტვაჭრობის რაიონულმა განყოფილებამ გარკვეული მუშაობა ჩაატარა სასადილოების, რესტორანებისა და მაღაზიების ახალი საკურორტო სეზონისათვის მოსამზადებლად. უკვე დამთავრებულია რესტორან „ქვაკაზის“ კაპიტალური რემონტი, სასადილო დარბაზი გადიდდა 40 ადგილით. გაკეთებულია სპეციალური ღუმელები ცხელი კერძების დასამზადებლად. კაპიტალურად შეკეთდა აგრეთვე რესტორანები „ავადხარა“ და „გაგრა“, რემონტი გაუკეთდა კურორტვაჭრობის პანსიონატების კვების ობიექტებსაც.

კურორტვაჭრობის სისტემაში ახალი სეზონისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის.

გაგრაში კვლავ მოუგვარებელია სასაწყობო მეურნეობა. კურორტვაჭრობის ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვა სასურსათო პროდუქტების საწყობები, რომლებიც რვა სხვადასხვა ადგილას არის გაბნეული, სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს კურორტის ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნილებებს.

არც სანიტარული წესრიგის მხრივ არის ყველაფერი რიგზე გაგრაში.

ახალი ათონი

ახალ ათონში ყოველწლიურად დასასვენებლად ათეულ ათასობით მშრომელი ჩამოდის. მათი მომსახურების გაუმჯობესებისათვის დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. ახალი ათონის ჯანმრთელობის კერების კაპიტალურ რემონტზე და კურორტის კეთილმოწყობაზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაიხარჯება 593 ათასი მანეთი. სანატორიუმ „აფხაზეთის“ პირველ კორპუსს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა აგრეთვე კურორტთა სამმართველოს პანსიონატს და მის სასადილოს. მიმდინარე რემონტი გაუკეთდა და წესრიგზე იქნა მოყვანილი სამედიცინო პლაჟი.

ახალი ათონის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კერაა დასასვენებელი სახლი „ფსირცხა“, რომელიც ყოფილ № 3 სანატორიუმის ბაზაზე შეიქმნა. ამ დასასვენებელი სახლის რეკონსტრუქცია გასული წლის ოქტომბრიდან დაიწყო. კაპიტალურ რემონტთან ერთად აქ ეწყობა ორთქლით ცენტრალური გათბობა. ამ სამუშაოს ასრულებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო კანტორა (უფროსი გ. სიმონიშვილი), რომელმაც გააჭიანურა და სეზონის გახსნის დღისათვის ვერ შეძლო ყველა სამუშაოს შესრულება.

ახალ ათონში ჯერ კიდევ მოუგვარებელია დამსვენებელთათვის ფიზკულტურული მოედნების მოწყობის საქმე. წელს კურორტთა სამმართველო შეუდგა სასპორტო მოედნის მშენებლობას, მაგრამ იმის გამო, რომ მოედნისათვის ადგილის შერჩევის საქმეში საპროექტო ორგანიზაციებმა და კურორტთა სამმართველომ საერთო ენა ვერ გამონახეს, დაწყებული მშენებლობა შეწყდა. კურორტი უზრუნველყოფილი არ არის წყლით. არსებული წყალსადენი პატარა და მოძველებულია, ხოლო ახლის აგებაზე ჯერჯერობით არავინ ზრუნავს.

გუდაუთა

მნიშვნელოვანი სამუშაოებია გაწეული კურორტ გუდაუთის კეთილმოწყობისათვის.

კაპიტალური რემონტი გაუკეთდა პანსიონატს, მოგვარებულია მისი წყლით მომარაგების საქმე, რეკონსტრუირებულია კვების ობიექტი და სხვ. შეკეთდა კურორტის პოლიკლინიკის შენობა. წელს პოლიკლინიკამ მიიღო ბევრი ახალი სამკურნალო ხელსაწყო და მოწყობილობა. წესრიგზე იქნა მოყვანილი კურორტის პლაჟი.

რემონტი გაუკეთდა დასასვენებელ სახლს „ზღვისპირას“ (ყოფილი სანატორიუმი „სკოროხოდი“). სახლს წელს უნდა დამატებოდა ახალი ორსართულიანი კორპუსი. ის მზად უნდა ყოფილიყო 1 მაისისათვის, მაგრამ მშენებლებმა — აფხაზეთის კურორტთა სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორის მუშაკებმა ვერ უზრუნველყვეს ამ სამუშაოს დროულად შესრულება.

კურორტ გუდაუთაში არ არის დიეტური სასადილო, რაც უსაგზაროდ ჩამოსულ დამსვენებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. კურორტს არა აქვს აგრეთვე წყალსადენი და კანალიზაცია, რაც სერიოზულად აფერხებს მშრომელთა ნორმალური დასვენების საქმეს.

სოხუმი

იქ, სადაც უძველესი ისტორიული ძეგლი ბესლეთის ხიდია, ორი წლის წინათ ამოხეთქა შადრევანმა, რომელსაც მაღალი ტემპერატურა აქვს.

წყლის ქიმიური შემადგენლობისა და მისი სამკურნალო თვისებების შესწავლის შემდეგ დაიწყო წყალსამკურნალოს მშენებლობა. სახელდახელოდ მოწყობილ იქნა აბაზანები. ეს აბაზანები დღის განმავლობაში ჯერჯერობით დაახლოებით 250-300 კაცს ატარებს. მომავალში ისინი გაფართოვდება.

წყალსამკურნალო კარგ შედეგებს იძლევა ნერვული სისტემის, კანის, მოკარდიტების, სისხლძარღვთა, რევმატიზმის და სხვა დაავადებათა მკურნალობისას.

ბესლეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საძიებო სამუშაოები, წინასწარი მონაცემებით დადგენილია, რომ დედამიწის სიღრმეში ამ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება წყალტუბოს, ცაიშისა და მაცესტის ტიპის სამკურნალო წყლები. საექსპლოატაციოდ მათი გადაცემის შემდეგ სოხუმის ბალნეოლოგიური წყალსამკურნალო ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელ ჩვენს ქვეყანაში.

• • •

აფხაზეთის კურორტებზე უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დამსვენებელთა კვების გაუმჯობესების საქმეს. მიუხედავად საათანადო სადირექტივო ორგანოების მიერ ამ საკითხზე არაერთგზის დასახული ღონისძიებისა, დღემდე მოუგვარებელია ჯანმრთელობის დაცვის კერებისა და სხვა ობიექტების ახალი ბოსტნეულით მომარაგების საქმე.

აფხაზეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგ

ეკრანებზე ... ეკრანებზე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაბეჭდილებანი და სურვილები

ჩეხი პროფესორი თეოდორ იედლიჩკა (პირველი რიგში მარცხნიდან მეორე) ქართველ მწერლებს შორის.

დიდი ხანია მსურდა მენახა საქართველო, მაგრამ მხოლოდ ახლა ასრულდა ჩემი ოცნება, რომლითაც აღსავსე იყო მთელი ჩემი ცხოვრება მრავალი წლის მანძილზე.

როდის ჩამესახა ეს ოცნება, მე არ ვიცი. შეიძლება ამ მომენტში, როცა ხელში მომხვდა პირველი ქართული წიგნი „დედა-ენა", დაბეჭდილი პარიზში. მე მომხიბლა ქართული ენის მელოდიამ, თუმცა წიგნში ვიპოვნე მხოლოდ ცალკეული სიტყვები და მოკლე ხაბავშვო ლექსები. მაგრამ როცა პირველად მოვისმინე, როგორ ყლერდა რუსთაველის უკვდავი პოემა, ჩემს თვალწინ ახალი სამყაროა გადაიშალა. მე ამ წამსვე დამებადა სურვილი არა მარტო გავცნობოდი ამ ნაწარმოებს, არამედ მეთარგმნა კიდეც ჩეხურ ენაზე.

მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ. ამის შემდეგ იფეთქა ომმა და გეგმები ჩამეშალა. როგორც კი დამთავრდა ომი, დაუყოვნებლივ ახალი ძალლონით და კიდევ უფრო მეტი მონდომებით შევუდექი ქართული ენის შესწავლას და ხელი მოვკიდე თარგმნასაც. პრაღაში ჩამოვიდა გიორგი ლეონიძე. მასთან შეხვედრამ ახალი იმედები ჩამინერგა და იმპულსი მომცა გამეცხოველებინა მუშაობა.

ბოლოს, აი ახლა, საქართველოს მიწა-წყალზე შემოვდგი ფეხი, და ბედნიერად ვთვლი თავს. ხანამდვილემ მთელ ჩემს წარმოდგენებს გადააჭარბა. საქართველო ისეთი მრავალფეროვანი, მდიდარი და თვალწარმტაცია, რომ პირველ დღეებში მოჯადოებულივით ვიდექი და შეკუურებდი მთელ ამ ხილამაზეს. შთაბეჭდილებანი სულ უფრო და უფრო მრავლდებოდა და დასახრული არ უჩანდა. ეს არ იყო მარტო დიდი ქალაქის სურნელება, რომელმაც მომხიბლა, აქ იყო ყველაფერი ის, რითაც სუნთქავს ეს მშვენიერი ქვეყანა. მე გამიტაცა ახლა მარტო მეგობრულმა დამოკიდებულებამ კი არა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდები, არამედ ამ ძველი კულტურის ქალაქის მთელმა ცხოვრებამ, რომელიც დაუცხრომლად დღეს და მარადიულობის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩემი შთაბეჭდილებანი ჯერჯერობით შემოფარგლულია თბილისით, ვინაიდან ძირითადად აქ არის ის კულტურული დაწესებულებები, რომელთა ნახვაც მსურდა. რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და მწერალთა კავშირი, სადაც პირველ შეხვედრისთანავე ყოველნაირი დახმარება აღმომიჩინეს იმის ახლო გასაცნობად, რაც ჩემთვის ესოდენ საჭირო იყო.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მიერ კარგად ორგანიზებული ხელშეწყობის შედეგად, მე თავისუფლად შემიძლია თვითეული დღე ისე გამოვიყენო, რომ ჩემი მეცნიერული ხასიათის ინტერესები ლიტერატურის დარგში დავუკავშირო მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. ასეთ შთაბეჭდილებებს მიეკუთვნება, მაგალითად, ეკსკურსია სამგორში. აქ ადამიანი იგრძნობს, თუ რა ხასწაულმოქმედ ძალას წარმოადგენს წყალი. ეს გრძნობა, განსაკუთრებით ჩვენთვის, შუა ევროპის ბინადრებისთვის, თითქმის უცნობია. მეორე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე უდაბნოში გაშენებულმა ქალაქმა. რუსთავი თავისი მდიდარი მრეწველობითა და გახაოცარი კულტურის ხასლით იმის მაჩვენებელია, თუ რა უდიდესი მუშაობა გაგიწევიათ აქ ომის დამთავრებას შემდეგ განსვლილ მოკლე დროში. რუსთავის მშრომელებს აქვთ ბევრი ისეთი რამ, რითაც შეუძლიათ ამაყონ.

მე რამდენიმე მეცნიერული ხაკითხი მქონდა წინასწარ დახასული, როცა სამშობლოდან აქ მოვდიოდი. მაგრამ რა ხანიც აქა ვარ, სულ ახალი და ახალი ხაკითხები იჭრება ჩემს წინაშე; თუ აქამდე მაინტერესებდა ქართული ხალხური სიმღერების ტექსტები, რომელთა კრებული განზრახული მაქვს გამოვცე ჩეხურად, ახლა მათი მუსიკაც მაინტერესებს. თუ აქამდე ოპერა „დაისიდან" ვისმენდი მხოლოდ ზოგიერთ ნაწყვეტს, რომლებსაც პრაღის რადიო გადასცემს ხოლმე, ახლა, როცა ეს ოპერა სცენაზე ვნახე თბილისში, მინდა ვნახო პრაღის ოპერაშიც. თუ აქამდე მოიცებდა ლადო გუდიაშვილის ცალკეული სურათები, ახლა მსურს წავიკითხო რაიმე ამ დიდი ხელოვანის შესახებ და უფრო დაწვრილებით გავეცნო მისი, როგორც შესანიშნავი მხატვრის, ზრდის მთელ რთულ პროცესს.

ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ ჩემი ხურვილები თანდათანობით დაკმაყოფილებულიყო, პირიქით, აღუსებელი რჩება და სულ უფრო და უფრო მატულობს.

განსაკუთრებით დიდძალი ლიტერატურა შევკრიბე რუსთაველის შესახწავლად და იმ ჩემი უახლოესი ამოცანის გადასაჭრელად, რომელიც მდგომარეობს რუსთაველის პოემის ჩეხური თარგმანისათვის წინასიტყვაობის დაწერაში. ამ პოემის ბეჭდვა მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება. ამიტომ უნდა დავკმაყოფილდე ამ ჩემი უახლოესი ამოცანებით და ვიქონიო სრული რწმენა, რომ ახლა, როცა ასეთი გულითადი კავშირი გავაბი ამ ლამაზ ქვეყანასთან და ამდენი მეგობარი შევიძინე, შევძლებ უკეთ ვიმუშაო ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ურთიერთობის განმტკიცების საქმისათვის.

იარლის ოლდრიჩკა

იცით თუ არა თქვენ?

...რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის რიცხვმა 1956 წლის აპრილისათვის მიაღწია 4 მილიონ კაცს, რომ მოსახლეობის რიცხვის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკათა შორის მეექვსე ადგილზეა — რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის შემდეგ.

...რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის მოსახლეობის რიცხვი 1956 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 635 ათას კაცს.

მეასე ტელეგადაცემა

ამასთან დაკავშირებით, რომ ამ დღეებში თბილისის სატელევიზიო სტუდიამ მოაწყო მეასე გადაცემა, თბილისის ტელეცენტრის დირექტორმა ვ. ლორთქიფანიძემ ჩვენს კორესპონდენტს უამბო: თითქმის ნახევარი წელია, რაც თბილისში ტელესადგური ამუშავდა. ამ ხნის განმავლობაში ტელესტუდიამ ასზე მეტი გადაცემა მოაწყო. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყველა გადაცემა მიმდინარეობდა ისე, რომ არ ყოფილა ტექნიკური დაბრკოლებები და შესაძლებლობის ფარგლებში მიღწეული იყო მაქსიმალური სიმკვეთრე. შესამჩნევად გაიზარდა ჩვენი აუდიტორია. ახლა ეკრანები დგას 6 ათასამდე ოჯახში და საშუალოდ 40.000-მდე მაყურებელი ჰყავს. ტელეგადაცემებს თბილისის გარდა დაუბრკოლებლად იღებენ ყვარლის, სიღნაღის, კაჭრეთის, საგარეჯოს, რუსთავის, გორის, სტალინირისა და ბევრი სხვა რაიონის მშრომელები.

ამ მოკლე ხანში საგრძნობლად გაიზრდება ჩვენი გადაცემების პროგრამა. ლენინგრადის სატელევიზიო ქარხნიდან მიღებულია მოძრავი ტელესადგური და მიმღები სადგურის დანადგარები, რომლებიც ორ დიდ ავტობუსზე მონტაჟდება. ამ სამუშაოს მონდომებით ასრულებს ტელეცენტრის კოლექტივი.

მთაწმინდის მაღალ კოშკზე დაიდგმება კიდევ სამი პარაბოლური მიმღები ანტენა, რომლებიც მოემსახურება მოძრავ ტელესადგურს. მოძრავი ტელესადგური დაახლოებით 30-35 კილომეტრი რადიუსით იმუშავებს, რის საშუალებას იძლევა ჩვენი კოშკის კარგი სიმაღლე.

ორიოდე თვის შემდეგ ტელემაყურებლები თავიანთ ეკრანებზე ნახავენ ჩვენი დედაქალაქის თეატრების წარმოდგენებს, ბევრ სპორტულ ღონისძიებას, მათ შორის ფეხბურთსაც, და შრავალ სხვა ახალ ამბავს.

მომავალი მუსიკოსები

მოსაცდელი დარბაზები სავსეა ბანტიანი ცელქი გოგონებით, დაუდეგარი ბიჭუნებით, რომელთა უმრავლესობას 7 წელი ახლახან შეუსრულდა. აქვე არიან მათი უფროსები — დედები, ბებიები... პატარები ღელავენ, რადგან მოელით გამოცდა, რომელზეც დამოკიდებულია მათი მუსიკალური მომავალი.

— როდის დაიწყება გამოცდა? — მეათედ ეკითხება თავის ბებიას მაკა დგებუაძე. მას აინტერესებს, რას შეეკითხებიან, რა უპასუხოს. მან ჯერ ხომ არ იცის, რომ მუსიკალურ ნიჭს დაზეპირება არა შეელის, და იგი ბუნებრივად უნდა გამოვლინდეს.

აი დაიწყო გამოცდა. მეორე მუსიკალური სკოლის ერთ-ერთ დარბაზში ზის კომისია — მუსიკის გამოცდილი მასწავლებლები. ღელვაგან დადინჯებულნი გულისფანცქალით უახლოვდებიან პატარები კომისიას.

...მაკა დგებუაძეს არ ეშინია. მან მკვირცხლად აირბინა კიბე. როცა მას გამოუძახეს, თამამად იძლევა პასუხს. პატარა გოგონამ ლამაზი ხელოვნებით ამღერა ქართული ხალხური მელოდია.

კომისიის წევრებს სიამოვნებით გაეღიმათ, როცა მათ წინაშე წარსდგა შავთვალა ლიანა შურღალია. მან კომისიის მოთბოვნით ცოცხლად და სასიამოვნო ხმით წამოიწყო სიმღერა, ზუსტად გაიმეორა რიტმული მაგალითი, ამოიცნო საკმაოდ რთული მელოდია ჯერ ხმით, მერე დაკვრით, და ყველა საგნაში ხუთი მიიღო. გახარებული ლიანა ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა დარბაზიდან. ერთი წუთის შემდეგ კომისიის წინაშე წარსდგა ივანე გოგონა.

— რატომ დაბრუნდი, ლიანა? — შეეკითხა სკოლის დირექტორი, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ნ. ჯინჭარაძე.

— მე დიანა ვარ, —უპასუხა პატარამ, — ლიანა კი ჩემი დაა...

თურმე ლიანა და დიანა ტყუპები ყოფილან, და იმდენად გვანან ერთმანეთს, რომ კომისიის წევრებმა ვერ გაარჩიეს. წელს ისინი ერთად შედიან მუსიკალურ სკოლაშიც და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლასშიც.

დიანამაც კარგად ჩაბარა ყველა საგანი.

კარგი მუსიკალური მონაცემები გამოიჩინეს ფორტეპიანოს კლასში შემსწავლელებმა თემურ სოხაძემ, გიორგი ალიბეგოვმა, მარინე ეგიაზაროვამ, თინა ბერიძემ, ლალი ცომაიამ, ლარისა ცელესტისმა, თამარ კოპალეიშვილმა, ვიოლინოს კლასში — გიორგი შენგელიამ და სხვ.

წელს მეორე მუსიკალური სკოლის 1-ლ კლასში მიღებულ იქნა სულ 230 ბავშვი.

ე. მამალაძე.



ზი პლასტიკური მოძრაობით შეასრულა რთული ილეთები რიტმში, თავის ბებიასთან ერთად

სურათზე: ლიანა და დიანა შურღაიები. ფოტო ე. სიმონიანისა.

„ბაში-აჩუკი" მიღებულია საკავშირო ეკრანზე საჩვენებლად

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, თუ რა დიდი წარმატება ხვდა რესპუბლიკაში თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" მიერ გადაღებულ ახალ მხატვრულ კინოსურათს „ბაში-აჩუკს".

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ფილმების წარმოების მთავარმა სამმართველომ განიხილა ეს ფილმი და კარგი შეფასება მისცა მას. სამმართველოს მიერ ფილმი რეკომენდებულია საკავშირო ეკრანზე საჩვენებლად.

რუმინელი მომღერალი

რუმინელ გოგონას, რომელმაც მძიმე ბავშვობა განიცადა, სურდა თავისუფალი და ბედნიერი რუმინეთის აშენების ხაკმეში თავისი წვლილი შეეტანა როგორც ექიმს. მაგრამ მახლობლებმა მისი საუკეთესო ხმის გამო აზრი შეაცვლევინეს, და 1948 წელს იგი ბუქარესტის კონსერვატორიაში შევიდა.

ელენე ჩერნეიმ მალე მიაპყრო ყურადღება. 1952 წელს მას, ჯერ კიდევ სტუდენტს იწვევენ ბუქარესტის ოპერაში სოლისტად. სადებიუტო სპექტაკლ „რიგოლეტოში" მან ჩინებულად დაძლია ბოშა ქალის მადლენას რთული პარტია.

დიდი მღელვარებით ეხტუმრა ახალგაზრდა სოლისტი საბჭოთა ქვეყანას 1953 წელს. მისმა გასტროლებმა მოსკოვში, კიევსა და ხარკოვში წარმატებით ჩაიარა. ასევე დიდ წარმატებას მიაღწია მან ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე ბუქარესტში, სადაც დამსახურებულად მოიპოვა ეოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის სპატიო წოდება. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ — 1954 წლიდან ბუქარესტის ოპერის თეატრის კოლექტივის მუდმივი წევრი გახდა.

ამჯერად ელენე ჩერნეი მეორედ ეწვია საბჭოთა კავშირს. ლვოვსა და ოდესაში გასტროლების შემდეგ იგი ესტუმრა თბილისს, სადაც წარმატებით გამოვიდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერებში „კარმენსა" და „აიდაში". შესანიშნავი გარეგნობის მქონე მომღერალს, რომელსაც მეცო-სოპრანოსათვის დამახასიათებელი დაბალი რეგისტრის კარგი ეფერადობის ხმა აქვს, ჩინებულად აუთვისებია სამსახიობო ოსტატობა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდ მის მიერ შესრულებულ კარმენისა და ამნერისის პარტიებს.

— ჩემმა რუმინელმა კოლეგებმა, — განაცხადა ე. ჩერნეიმ „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში, — რომლებიც თბილისში ყოფილან, ბევრი რამ მითხრეს თქვენს მდიდარ მუსიკალურ ტრადიციებსა და სტუმართმოყვარეობაზე, რაშიც თვითონაც დავრწმუნდი. მოხიბლული ვარ თქვენი ულამაზესი ქალაქით, მისი არქიტექტურითა და მწვანე სამოსლით. რამდენჯერმე ავედი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ფუნიკულიორზე, საიდანაც კიდევ უფრო ზღაპრულია თბილისი. იმედი მაქვს, კიდევ ვეწვევი თბილისს ახალი რეპერტუარით.

* * *

სურათზე: ელენე ჩერნეი ამნერისის როლში (ჯ. ვერდის ოპერა „აიდა").

საქართველოს ჰადრაკის წარსულიდან

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპასა და რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკე ანდრია დადიანი (1850-1910 წწ.), რომლის თამაშს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ფრანგული, ინგლისური, ამერიკული და რუსული საჭადრაკო ჟურნალები. ქართველი მოჭადრაკე ახლოს იცნობდა ჰადრაკის იმ დროის კორიფეებს ვ. სტეინიცს, ე. ლასკერს, მ. ჩიგორინს, ზ. ტარაშს და სხვებს. 1903 წელს კიევში ფრანგულ ენაზე გამოიცა გროსმაისტერ ე. შიფერსის წიგნი „ა. დადიანის პარტიების დაბოლოებათა კრებული".

ა. დადიანი რომანტიკული სტილის მოჭადრაკე იყო. მას უყვარდა კომბინაციები ხშირი შეწირვებით. იგი გვხიბლავს ჩანაფიქრის სიღრმით.

მოგვყავს ა. დადიანის პარტია უნგრელ მასტრო ი. კოლიშთან, რომელიც ყველაზე რელიეფურად გადმოგვცემს ქართველი მოჭადრაკის შემოქმედებითს პრინციპებს.

1. e4 e5 2. f4 ef 3. ♞f3 g5 4. ♗c4 g4

(მეფის გამბიტის სადებიუტო სვლების შემდეგ,

ი. კოლიში



ა. დადიანი

ამ მდგომარეობაში, ა. დადიანი სწრაფი განვითარების მიზნით სწირავს ფიგურას. ეს გაგრძელება თეორიაშიც ცნობილია) 5. 0—0 gf 6. ♕:f3 ♕f6 7. e5 ♕:e5 8. b3! (ტლის შეწირვით, რათა 9. ♗c3 შემდეგ შავებს ულაზიეროდ მოუწევთ თამაში) 8. ...♘h6 9. ♘b2! ♕:b2 10. ♗c3 ♕:c2 11. ♖ae1+♔e7 12. ♕h5 ♕g6 13. ♖:e7+! ♔g8 (თუ 13. ...♔:e7, მაშინ 14. ♕e5+ ♔g8 15. ♕:h8+ ♔e7 16. ♖e1+ ♔d6 17. ♕d4+♔:g3) 14. ♕e2 d6 15. ♖e1 ♘d7 16. ♖:d7+ ♔:d7 (და არა 16. ...♗:d7 17. ♕e7+ გამო) 17. ♘b5+c6 18. ♕e7+ ♔c8 19. ♗d5! cd 20. ♖e1+♗c6 21. ♖:c6+! bc 22. ♘a6+ ♔b8 23. ♕b7×.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

რუმინელი ფეხბურთელები თბილისში

რამდენიმე დღეა სსრ კავშირში სტუმრად იმყოფება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია ამავე სასპორტო საზოგადოების ბუქარესტისა და ქალაქ სტალინის ფეხბურთელებით. სტუმრებმა პირველი ორი შეხვედრა გამართეს კიშინოვსა და კიევში ადგილობრივ გუნდებთან და ორივე წააგეს.

გუშინ რუმინელი ფეხბურთელები კიევიდან თბილისში ჩამოვიდნენ. აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სპორტსმენები. რუმინელ ფეხბურთელებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

რუმინელ ფეხბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი თბილისის „დინამოსთან" გაიმართება 11 ივნისს.

XIX ჩემპიონატის ცხრილი ფეხბურთში

„ა" კლასი

მდგომარეობა 9 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„დინამო" კ.	10	6	3	1	16:6	15
„დინამო" მ.	10	6	3	1	12:5	15
„დინამო" თბ.	11	7	1	3	17:11	15
„სპარტაკი" მ.	11	5	3	3	16:9	13
„ტორპედო" მ.	10	5	2	3	17:10	12
„ლოკომოტივი" მ.	10	5	2	3	14:11	12
ცსკა მო	11	5	1	5	17:16	11
„ბორეველნიკი" კიშ.	11	1	6	4	7:10	8
„შახტიორი" ს.	10	3	2	5	6:11	8
„კრ. სოვეტოვი" კუიბ.	10	1	4	5	3:10	6
„ზენიტი" ლ.	10	1	3	6	8:22	5
„სპარტაკი" მნ.	10	1	2	7	3:15	4

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დილას), გორდა (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ბორის გოდუნოვი (დილა-საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — ფსკერზე (დილას), მაია წყნეთელი (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — ფილუმენა მარტურანო (დილა-საღამოს), სომხური დრამის — კაშო (სეზონის დახურვა), მუსიკალური კომედიის — დალი, ფილარმონია — მექსიკური სიმღერების საღამო (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

ტელეგადაცემათა პროგრამა 9 ივნისისათვის

(დღისით)

15.00 — კონცერტი ბავშვებისათვის. მონაწილეობენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, ნორჩი მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები და ფილარმონიის მსახიობები. 15.35 — „იმათთვის, ვინც სკოლას ამთავრებს" — დოკუმენტალური ფილმი „სწორი გზა". 15.55 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მთის ტბის საიდუმლოება". 17.00 — მომავალი კვირის გადაცემათა პროგრამა.

(საღამოს)

20.00 — საესტრადო კონცერტი. 20.30 — ახალი მხატვრული ფილმი „განუმეორებელი გაზაფხული".

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

მათ ერთმანეთი იპოვნეს...

ამაღელვებელი ამბავი მოხდა ამ დღეებში ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დიგორის რაიონის სოფელ დიგორის მცხოვრებ ვერა ხარიტონის ასულ ცაგოლოვას სახლში. მას თბილისიდან ეწვია ცამეტი წლის უნახავი შვილი რემა ნიკოლოზის ასული ცაგოლოვა, რომელსაც იგი სამუდამოდ დაკარგულად თვლიდა.

ამ ამბის ისტორია ასეთია: ორი წლის იყო პატარა რემა, როცა მენინგიტით დაავადდა. გამოჯანმრთელების შემდეგ ცოტას ლაპარაკობდა, შემდეგ კი შეწყვიტა ლაპარაკი. 1944 წელს მამით ობოლი 10 წლის რემა ქ. ორჯონიკიძის ყრუმუნჯთა სკოლა-ინტერნატში სწავლობდა. მისი დედა ორჯონიკიძიდან 50 კილომეტრით დაშორებულ სოფელ დიგორაში ცხოვრობდა. ბავშვმა უდედოდ მოიწყინა, მხოლოდ ცხრა დღე დაჰყო ინტერნატში და იქიდან გაქცევა გადაწყვიტა. ამ განზრახვით იგი გამოვიდა სამხედრო გზატკეცილზე და დიდხანს იარა, საკმაოდ დაშორდა ქალაქს. როცა დაიღალა, პატარა რემა გზაზე დაწოლა და ტირილი დაიწყო... იგი დაინახეს საბჭოთა არმიის ჯარისკაცებმა, რომლებიც თბილისისაკენ მოდიოდნენ, და ავტომანქანაზე დასვეს. მათ ბავშვი თბილისში ჩამოიყვანეს.

ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, ვისი იყო ბავშვი და გადაწყვიტეს სამხედრო ნაწილში ჰყოლოდათ. მას მზრუნველობით უვლიდნენ, ყურადღებას არ აკლებდნენ, ართობდნენ, „პოლკის შვილს" ეძახდნენ. ერთი წლის შემდეგ კოჯრის უდედმამო ბავშვთა სახლში მიიყვანეს. აქაც მშობლიური სითბოთი დახვდნენ პატარა რემას, მოუალერსეს, ანუგეშეს...

ასე გახდა ოსი გოგონა საქართველოს მკვიდრი. კოჯრის შემდეგ იგი მცხეთაში იზრდებოდა. შემდეგ კი თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატში ჩამოიყვანეს. აქ ბავშვს თან მოჰყვა „პირადი საქმე", რომელშიც არც გვარი იყო აღნიშნული, არც სახელი. ამის ნაცვლად ეწერა — „ბავშვი ნაპოვნია ქუჩაში". მაგრამ გვარი და სახელი საჭირო იყო. ინტერნატის დირექტორმა მას ქართული სახელი — თინა დაარქვა, გვარზე კი დიდხანს იფიქრეს. მცხეთაში განთქმული გვარია მოჭიდავე სანდრო კანდელაკის გვარი; რადგან გოგონა მცხეთიდან იყო ჩამოყვანილი, კანდელაკად მონათლეს.

ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატში ექვსი წლის განმავლობაში მზრუნველობით იზრდებოდა თინა და სრულიად არ ვგრძნობდა უპატრონობას. შემდეგ იგი გათხოვდა, ახლა ქალ-ვაჟი ჰყავს. ბიჭს ბესიკი დაარქვეს; გოგონა მაშინ შეეძინა, როცა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი ქალიშვილი ინდირა განდი თბილისში ჩამოვიდნენ. ნერუს ქალიშვილის პატივსაცემად მეორე ბავშვს პაპის — მოხუცი პენსიონერის ზაქარია ფავლენიშვილის წინადადებით ინდირა უწოდეს.

რ. ცაგოლოვა.

* * *

...დიდხანს ეძებდა შვილს ვერა ცაგოლოვა. დაკარგვისთანავე ეს ამბავი გაზეთში გამოაცხადეს, მილიცია ფეხზე დადგა... მოსკოვში ბავშვის ბიძამ პროფესორმა ნ. ცაგოლოვმა ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში წერილიც კი მოათავსა. მაგრამ ამაოდ. დაკარგულის კვალს ვერ მიაგნეს.

თინას არ ახსოვდა თავისი სოფლის სახელი. არ იცოდა საიდან იყო ჩამოსული. ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ აპოვნინა სოფელიც და მშობელიც. იგი თბილისში შეხვდა სკოლა-ინტერნატის ამხანაგს ქ. ორჯონიკიძიდან ვ. გაგულაევს, რომელიც მის ქმართან ერთად მუშაობს ყრუმუნჯთა სახზოგადოების ერთ-ერთ საწარმოში. სკოლის ძველმა ამხანაგებმა იცნეს ერთმანეთი.

მართალია, თინამ თავისი სოფლის სახელი არ იცოდა, მაგრამ მას ღრმად ჰქონდა ჩაბეჭდილი მეხსიერებაში სოფლის ქუჩები, მისი ცენტრი. იგი ხელებით აჩვენებდა გაგულაევს — აი აქ კლუბია, აქ მილიცია, აქ საპარიკმახერო, შუაზე კი სოფელს პატარა მდინარე ჩაუდისო. გაგულაევი მიხვდა, რომ ეს, ალბათ, სოფელი დიგორა უნდა იყოს, იქ ხომ ბევრჯერ ყოფილა თვითონაც. ის პატარა მდინარე კი — ორსტონი. ამიტომ გადაწყვიტეს ორჯონიკიძეში, იქიდან კი დიგორაში წასვლა. თინამ იცნო თავისი სოფელი.

იმედდაკარგული დედა ვერასოდეს ვერ მოითიქრებდა, თუ ამ სიხარულს ეწეოდა. არ ეგონა, თუ შვილი ცოცხალი ჰყავდა. მაგრამ მოულოდნელი ბედნიერება ესტუმრა. ეს ბედნიერება მას არ სჯერდა. ამიტომაც, როცა შვილი სახლში შევიდა და დედას გადაეხვია, მკერდიდან იშორებდა მას — „შენ ჩემი შვილი არა ხარ, იგი დაიღუპა. მაგრამ, როგორც იტყვიან, სულმა სული იცნო... დედამ შვილს გაუსინჯა ბავშვობისდროინდელი ნიშანი — მარცხენა ხელზე გაჭრილი შუა თითი. და, რაც მთავარია, გამომჟღავნდა დედა-შვილის ურთიერთობის მარადიული ნიშანი — დიდი, მშობლიური სიყვარული, რომელსაც წლები ვერ გადარეცხავს...

— მთელი გულით მადლობას ვუხდი მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ ჩემი შვილი აღზარდეს, უდედმამობა არ აგრძნობინეს, — თქვა თბილისში შვილის ოჯახში სტუმრად მყოფმა გახარებულმა დედამ ვერა ცაგოლოვამ. იგი სიამაყეს განიცდის, რომ მის შვილს ჰყავს მეორე მშობელი — დიდი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენს ბავშვებისათვის. აკი ამიტომაც არის დედის, მშობლის სახელთან დაკავშირებული ჩვენი ვრცელი ქვეყნის სახელი — დედა-სამშობლო...

ს. არღუნელი.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, ფრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნებისა—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჭსელის—3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი—3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომწვევის—3-81-65, გამომცემლობის დირექტორისა—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 01942 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.